# მუსიკა

სახელმძღვანელო



5

# Azərbaycan Respublikasının Dövlət Himni

*Musiqisi Üzeyir Hacıbəylinin,*
*sözləri Əhməd Cavadındır.*

Azərbaycan! Azərbaycan!
Ey qəhrəman övladın şanlı Vətəni!
Səndən ötrü can verməyə cümlə hazırız!
Səndən ötrü qan tökməyə cümlə qadiriz!
Üçrəngli bayrağınla məsud yaşa!
Minlərlə can qurban oldu!
Sinən hərbə meydan oldu!
Hüququndan keçən əsgər,
Hərə bir qəhrəman oldu!

Sən olasan gülüstan,
Sənə hər an can qurban!
Sənə min bir məhəbbət
Sinəmdə tutmuş məkan!

Namusunu hifz etməyə,
Bayrağını yüksəltməyə
Cümlə gənclər müştaqdır!
Şanlı Vətən! Şanlı Vətən!
Azərbaycan! Azərbaycan!



**ჰეიდარ ალიევი**

აზერბაიჯანელი ხალხის საერთო ეროვნული ლიდერი

ოქტაი რაჯაბოვი, ნაზიმ ქაზიმოვი,
ეგანა ახუნდოვა,ოფელია იმანოვა

# მუსიკა 5

**სახელმძღვანელო**

*საერთო - საგანმანათლებლო სკოლების
მე-5 კლასისათვის*

ამ გამოცემასთან დაკავშირებული გამოხმაურებები, შენიშვნები და
წინადადებები გთხოვთ გამოაგზავნოთ შემდეგ ელექტრონულ
მისამართზე: tahsil_az@yahoo.com და derslik@edu.gov.az
წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის!

ბაქო -2017

## შინაარსი

**პოეზია და მუსიკა**
თემა 1. პოეზია და სიმღერა.......................................................................................6
თემა 2. ვოკალიზი.........................................................................................................8
თემა 3. უსიტყვო სიმღერები.....................................................................................10
თემა 4. პოეზია და კანტატა......................................................................................12
თემა 5. ლიბრეტო და ოპერა......................................................................................14
თემა 6. ლიბრეტო და ბალეტი...................................................................................16
თემა 7. ლიბრეტო და ოპერეტა..................................................................................18
თემა 8. განვლილი თემების განმეორება.................................................................20

**პოეზიის როლი მუსიკაში**
თემა 9. სიმღერა და პოეზია.......................................................................................22
თემა 10. აშუღური მუსიკა და პოეზია.....................................................................24
თემა 11. მუღამი და პოეზია......................................................................................26
თემა 12. რიტმული მუღამი და პოეზია...................................................................28
თემა 13. რომანსი და ღაზელი...................................................................................30
თემა 14. განვლილი თემების განმეორება...............................................................32

**მუსიკა და სახვითი ხელოვნება**
თემა 15. კასპიის თემა მუსიკაში და სახალხო მხატვრის ტაირ სალახოვის შემოქმედებაში...................................................................................................34
თემა 16. მუსიკა და მუსიკალური სურათები სახალხო მხატვრის თოღრულ ნარიმანბეკოვის შემოქმედებაში.................................................................................36
თემა 17. მუღამური დესგიახი და სახვითი ხელოვნება.......................................38
თემა 18. მშვიდობის თემა მუსიკასა და სახვით ხელოვნებაში............................40
თემა 19. ნიზამი განჯელის სახე მუსიკასა და სახვით ხელოვნებაში.................42
თემა 20. მუჰამედ ფიზულის სახე მუსიკასა და სახვით ხელოვნებაში..............44
თემა 21. დედის სახე მუსიკასა და სახვით ხელოვნებაში.....................................46
თემა 22. ნოვრუზის დღესასწაული მუსიკასა და სახვით ხელოვნებაში...........48
თემა 23. განვლილი თემების განმეორება...............................................................50

**სახვითი ხელოვნება, კინო და მუსიკა**
თემა 24. ქარავანის სახე სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში.................................52
თემა 25. ჰეროიზმის თემა კინოსა და მუსიკაში.....................................................54
თემა 26. დონ კიხოტის სახე სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში.........................56
თემა 27. ბუნების სურათები სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში.......................58
თემა 28. ნავთობის ქვების სახე სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში..................60
თემა 29. დიდი ბელადის ჰეიდარ ალიევის სახე სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში.....................................................................................................................62
თემა 30. ინდოეთის თემა სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში.............................64
თემა 31-32. განვლილი თემების განმეორება..........................................................66
მუსიკალური ლექსიკონი.............................................................................................67
სიმღერების ნოტები, რომელიც შესულია სახელმძღვანელოში..........................68

# პოეზია და მუსიკა



თემა 1

# პოეზია და სიმღერა

ხალხური სიმღერა → ხალხური პოეზია; ხალხური მელოდია



აშუღური სიმღერა → აშუღური პოეზია; აშუღური მელოდია



კომპოზიტორის სიმღერა → პოეტების ლექსები; კომპოზიტორის მელოდია





სიმღერა არის მცირე ზომის ხელოვნების ნაწარმოები, რომელიც შედგება მუსიკისა და ლექსისაგან. ზოგადად, სიმღერის ჟანრის უმეტესი სახეობა წარმოადგენს სინთეზს, ესე იგი შერწყმულ მუსიკასა და პოეზიას.

ხალხური სიმღერები იქმნება სახალხო მუსიკოსების, მომღერალი შემსრულებლების მიერ. ხალხურ სიმღერებში სიმღერის ტექსტი ძირითადად შედგება ბაიათებისაგან. ასეთ სიმღერებში ტექსტის ავტორად ზოგჯერ თვითონ მომღერალი-შემსრულებელი გვევლინაბა. მუსიკა და ტექსტი ისეთი ხალხური სიმღერებისა, როგორიცაა «Qəmərim» („ჩემი გამარი“), «Ay qara qız» („შავგვრემანი გოგო“), «Şuşanın dağları» (შუშას მთები“), «Ay qəşəng ceyran» („მშვენიერი ჯეირანი“) და სხვ. ეკუთვნის ჩვენს ცნობილ მომღერალ-შემსრულებელს ხან შუშინსკის.

## მოვუსმინოთ სიმღერას

## ŞUŞANIN DAĞLARI (შუშას მთები)

(აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა)



*ქალაქი შუშა. ჯიდირ დიუზიუ*



*ხან შუშინსკი*

გავიხსენოთ სიმღერა და ვიმღეროთ ნოტების მიხედვით

## VƏTƏN OĞLU (სამშობლოს შვილი)

(აშუღური სიმღერა)




სიმღერის ტექსტის ხასიათი უნდა შეესაბამებოდეს მისი მელოდიის ხასიათს. თუ ლექსი ხალისიანია, მაშინ მისთვის შექმნილი მელოდიაც ხალისიანი უნდა იყოს. ჩვენ მიერ მოსმენილი სიმღერების «Şuşanın dağları» და «Vətən oğlu», მელოდიები, რომლებიც შეესაბამება მათ ტექსტებს, ასევე ხალისიანად ჟღერს, ტაქტის ზომით 6/8.

შევისწავლოთ სიმღერა

## QALİBLƏR MAHNISI

(გამარჯვებულთა სიმღერა)

*მუსიკა განბარ ჰუსეინლისა*
*სიტყვები ალექბერ ზიატაისა*

I

Bizi dağlar qartalıtək böyüdən,
Bir anasan, ey doğma yurd, ey Vətən!
Öz mahnını öyrədirsən bizə sən,
Qaliblərin mahnısıdır bu mahnı!

II

Bu mahnıyla ötür aylar, fəsillər,
Ağgünlü bir dünya qurur nəsillər.
Qulaq verin, ellər, ellər, ay ellər,
Qaliblərin mahnısıdır bu mahnı!



### კითხვები

1. როგორია პოეზიის როლი სასიმღერო შემოქმედებაში?
2. როგორ იქმნება ხალხური სიმღერები?
3. რით განსხვავდება კომპოზიტორის მიერ შექმნილი სიმღერა ხალხური და აშუღური სიმღერებისგან?

დავალება: დახატე სიმღერის «Qaliblər mahnısı» („გამარჯვებულთა სიმღერა“) შინაარსის შესაბამისი ნახატი.

თემა 2

## ვოკალიზი

მელოდიას, რომელიც სრულდება ბგერების საშუალებით სიტყვების გარეშე, ეწოდება „ვოკალიზი“.

ვიმღეროთ ვოკალიზის სახით და ნოტების მიხედვით:

### ARZULAR (ოცნებები)

*მუსიკა თოფიკ ყულიევისა*




ვიმღეროთ ვოკალიზის სახით თოფიკ ყულიევის მიერ ფილმისათვის „შეხვედრა“ დაწერილი სიმღერის «Арзулар», მელოდიის ნაწყვეტი და ვიდირიჟოროთ ტაქტის ზომა 3/4-ზე.




მოვუსმინოთ მუსიკას:

„ვოკალიზი“ მულტფილმიდან „ნავთობის პრინცი“.

*მუსიკა ოქტაი რაჯაბოვისა.*



**ეს უნდა ვიცოდეთ**

მულტფილმში „ნავთობის პრინცი“ ვოკალიზს ნავთობის პრინცი მაღალი ქალის ხმით ასრულებს. მაღალ ქალის ხმას ეწოდება „სოპრანო“.

***შევასრულოთ სიმღერა***

შევასრულოთ სიმღერა „არაქსი“ თავიდან ვოკალიზის სახით, შემდეგ კი სიტყვებით და ვიდირიჟოროთ ტაქტის ზომით 2/4.




### ARAZ (არაქსი)

*მუსიკა ასაფ ზეინალისა*
*სიტყვები რასულ რზასი*

I

Araz, Araz, daşqın Araz,
Dalğaları aşqın Araz.
Könlüm kimi coşqun Araz,
Nə gözəldir gözün sənin!
Araz, Araz, daşqın Araz,
Dalğaları aşqın Araz.

II

Axıb getmə əbəs yerə,
Süd ver körpə əkinlərə.
Çiçəklənsin düzən-dərə,
Dilə düşsün sözün sənin.
Araz, Araz, daşqın Araz,
Dalğaları aşqın Araz.

*ვიმღეროთ ნოტების მიხედვით*




სიმღერა „არაქსი“ ეძღვნება მდინარე არაქსს, რომელიც აზერბაიჯანს ჰყოფს ორ ნაწილად (სამხრეთ და ჩრდილოეთ აზერბაიჯანად). მდინარე არაქსი ხშირად მოიხსენიება ამ მდინარის აქეთა თუ იქითა მხარეს მცხოვრები ჩვენი ხალხის ლექსებსა და სიმღერებში. თავისი ხასიათით სიმღერა „არაქსი“ ნაღვლიანია. სიმღერის ტაქტის ზომაა 2/4.


*ასაფ ზეინალი*

**ეს უნდა იცოდეთ**

მდინარე არაქსი სათავეს იღებს თურქეთის ტერიტორიაზე ერზერუმის მთებში. აზერბაიჯანის რესპუბლიკის და სამხრეთ აზერბაიჯანის ტერიტორიების გავლის შემდეგ იგი საბირაბადის რაიონის სოფელ სუგობუშანში უერთდება მდინარე მტკვარს და ჩაედინება კასპიის ზღვაში.


*მდინარე არაქსი*


*რასულ რზა*

**კითხვები**

1. რა არის ვოკალიზი?
2. რა მსგავსება და განსხვავებაა ვოკალიზსა და სიმღერას შორის?
3. რას ეძღვნება სიმღერა „არაქსი“?
4. რა ხასიათისაა სიმღერა „არაქსი“?

დავალება: დახატე სიმღერა „არაქსის“ შინაარსის შესაბამისი ნახატი.

თემა 3

# უსიტყვო სიმღერები



ფელიქს მენდელსონი

მუსიკაში სიტყვიერი სიმღერების გვერდით ასევე არსებობს უსიტყვო სიმღერები. მსოფლიო მუსიკის ისტორიაში უსიტყვო სიმღერების ჟანრი შექმნა გერმანელმა კომპოზიტორმა ფელიქს მენდელსონმა, ხოლო აზერბაიჯანში – გამოჩენილმა კომპოზიტორმა სულეიმან ალესკეროვმა. თუმცა თავისი აღნაგობით და ხასიათით ასეთ სიმღერებს აქვს მსგავსება ჩვენთვის კარგად ცნობილ სიტყვიერ სიმღერებთან, მაგრამ მათში, როგორც დასახელებიდან ჩანს, არ გამოიყენება ლექსები.



სულეიმან ალესკეროვი

მოვუსმინოთ მუსიკას: ნაწყვეტი სულეიმან ალესკეროვის ნაწარმოებიდან „უსიტყვო სიმღერა № 1.

კომპოზიტორმა სულეიმან ალესკეროვმა თავისი „უსიტყვო სიმღერა № 1 და სხვა სიმღერები დაწერა აზერბაიჯანული ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრისათვის. მისი შექმნილი უსიტყვო სიმღერები თავისი აგებულებით შეესაბამება სიტყვიერ სიმღერებს. უსიტყვო სიმღერა, რომელიც რომანსს გვაგონებს, შედგება კუპლეტებისა და მისამღერისაგან. როგორც სიტყვიერი სიმღერები, უსიტყვო სიმღერებიც არსებობს ხალისიანი, ნაღვლიანი და ა. შ.

მოვუსმინოთ მუსიკას: ნაწყვეტი ფელიქს მენდელსონის ნაწარმოებიდან „უსიტყვო სიმღერა № 1“.

მოვისმინოთ ფელიქს მენდელსონის „უსიტყვო სიმღერა №1“, რომელიც დაწერილია ფორტეპიანოზე შესასრულებლად, და შევადაროთ ის სულეიმან ალესკეროვის ამავე სახელწოდების სიმღერას.



*აზერბაიჯანული ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრი*

შევასრულოთ სიმღერა თავიდან ნოტების მიხედვით, შემდეგ კი სიტყვებით.

## AY XƏZƏR (ო, კასპიავ)

*მუსიკა ნაზიმ ალივერდიბეკოვისა*
*სიტყვები ნაბი ხაზრისა*




I

Açıb sənə ürəyimi danışıram mən,
Eşqim kimi coşub-daşan Xəzərsən, Xəzər.

*მისამღერი:*

Sən mehriban Xəzərimsən,
Qanadındır ağ ləpələr,
Mavigözlü gözəlimsən, ay Xəzər, Xəzər!

II

Gördüm səni həyatımın ilk səhərində,
Ürəyimdə qanad açan sözlərsən, Xəzər.

*მისამღერი:*

III

Məhəbbətim gəzər qumlu sahillərdə,
İzlərini mirvaritək düzərsən, Xəzər.

*მისამღერი:*



**კითხვები**

1. მსოფლიო მუსიკის ისტორიაში ვინ შექმნა პირველად ჟანრი – უსიტყვო სიმღერები?
2. ვინ შექმნა აზერბაიჯანში ჟანრი – უსიტყვო სიმღერები?
3. როგორი აღნაგობისაა უსიტყვო სიმღერები?
4. რაა მსგავსება და განსხვავება უსიტყვო სიმღერებს და სიტყვიერ სიმღერებს შორის?

**დავალება:** მოუსმინეთ სიმღერას «Ay Xəzər» („ო, კასპიავ“), ტაშის თანხლებით, რომელიც შეესაბამება მისი მელოდიის რიტმს.

თემა 4

# პოეზია და კანტატა



*იოჰან სებასტიან ბახი*

**კანტატა** არის საზეიმო ხასიათის მრავალნაწილიანი ვოკალურ-სიმფონიური ნაწარმოები გუნდისა და სოლოსათვის ინსტრუმენტული თანხლებით. იტალიური სიტყვა „კანტატა“ ითარგმნება, როგორც „მღერა“. პირველი კანტატები, რომელიც ევროპაში შეიქმნა XV1-XV11 საუკუნეებში, წარმოადგენენ სოლო ვოკალურ ნაწარმოებებს გუნდის გარეშე. ხოლო XV11 საუკუნის ბოლოს შექმნილ კანტატებში უკვე მონაწილეობენ საგუნდო კოლექტივები.



*ყარა ყარაევი*



*სიმფონიური ორკესტრი და საგუნდო კოლექტივი*

გენიალური გერმანელი კომპოზიტორი იოჰან სებასტიან ბახი, როგორც შესანიშნავი კანტატების ავტორი, მთელ მსოფლიოშია ცნობილი. აზერბაიჯანში კანტატის ჟანრის დამამკვიდრებელია გენიალური კომპოზიტორი უზეირ ჰაჯიბეილი. კანტატის ჟანრში შესანიშნავი ნაწარმოებები შექმნეს ყარა ყარაევმა, ფიქრათ ამიროვმა, ჯაჰანგირ ჯაჰანგიროვმა, სულეიმან ალესკეროვმა, რამიზ მუსტაფაევმა, აღშინ ალიზადემ და სხვა კომპოზიტორებმა. ერთ-ერთ ასეთ ნაწარმოებს წარმოადგენს ყარა ყარაევის კანტატა «Zamanın bayraqdarı» („დროის მედროშე“). ეს კანტატა შეიქმნა სამედ ვურღუნის ამავე სახელწოდების პოემის საფუძველზე. სამედ ვურღუნმა აზერბაიჯანული ლიტერატურა პოეზიის უნიკალური ნიმუშებით გაამდიდრა.

ეს ნაწარმოები შედგება სამი ნაწილისაგან, რომელიც გამოიხატება სქემით ABA. კანტატის 1 და 111 ნაწილები A ერთნაირად, საზეიმოდ ჟღერს, ხოლო B ნაწილი წარმოადგენს ნელი ტემპის ლირიკულ მელოდიას. ნაწარმოებს ასრულებს გუნდი და სიმფონიური ორკესტრი.

*მოვუსმინოთ მუსიკას და ვიმღეროთ ნოტების მიხედვით*

სრულდება ყარა ყარაევის კანტატის „დროის მედროშე“ შუა – B ნაწილი ნოტების მიხედვით.

## დროის მედროშე

*მუსიკა ყარა ყარაევისა*
*სიტყვები სამედ ვურღუნისა*




*შევისწავლოთ სიმღერა*

## ნორჩი სპორტსმენების მარში

*მუსიკა მუსა მირზოევისა*
*სიტყვები ჰიქმეთ ზიასი*

I
როგორ მოქნილი გაგვიხდა ტანი!
ეს – სპორტმა მოგვცა ღონე და ჯანი!
ვართ ჯანმრთელები, ზრდილნი, გამრჯენი,
ჩვენ – ბედნიერი ქვეყნის ბავშვები.

**მისამღერი:**
მთათა ჯარი, სივრცე ზღვისა,
სამოქმედო არენაა ჩვენი,
გამარჯვება ჩვენ გვაქვს მიზნად,
წინ მივიწევთ გამარჯვების რწმენით.

II
შერკინებები სპორტული გვიყვარს,
ვაწრთობთ სხეულებს, ვვარჯიშობთ დიდხანს,
წარმატებები თან გვდევენ მარად,
და ვძლიერდებით დღეგმირთა დარად.

**მისამღერი:**



**კითხვები**

1. რა არის კანტატა და სად შეიქმნა ის პირველად?
2. როგორი მუსიკალური კოლექტივები ასრულებენ კანტატას?
3. რომელი აზერბაიჯანელი კომპოზიტორების შემოქმედებაში გვხვდება კანტატები?

დავალება: შეასრულე რიტმული თანხლება ნაწარმოებისა „ნორჩი სპორტსმენების მარში“.

თემა 5

## ლიბრეტო და ოპერა



კლაუდიო მონტევერდი



მიხეილ გლინკა

**ოპერა** არის ვოკალურ-ინსტრუმენტული დრამატული მუსიკალური ნაწარმოები. იგი იტალიური სიტყვაა და ნიშნავს „ნაწარმოებს“. ოპერაში, რომელიც თეატრის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს, ნაწარმოების ტექსტს მღერიან მსახიობები მუსიკის თანხლებით. ზოგჯერ ოპერაში ჩართულია საბალეტო სცენები. თანამედროვე ოპერაში ერთ მთლიანობას წარმოადგენს სოლო, გუნდი, ვოკალური შემსრულებლობა, ცეკვები, სხვადასხვა სახის ანსამბლი, სიმფონიური ორკესტრი. დეკორაციებისა და კოსტიუმებისათვის გამოყენებულია სახვითი ხელოვნების შესაძლებლობანი. ოპერა წარმოადგენს კომპოზიტორისა და ლიბრეტოს ავტორის ერთობლივი მუშაობის ნაყოფს.

**ლიბრეტო** არის დიდი ვოკალურ-ინსტრუმენტული ნაწარმოების სიტყვიერი ტექსტი, ანუ ოპერის (ბალეტის, ოპერეტის) შინაარსის გადმოცემა, ე. ი. ლიტერატურული საფუძველი.

პირველი ოპერები შეიქმნა იტალიაში კლაუდიო მონტევერდის მიერ XV1-XV11 საუკუნეებში, რუსეთში – მიხეილ გლინკას მიერ X1X საუკუნეში, ხოლო აზერბაიჯანში – უზეირ ჰაჯიბეილის მიერ XX საუკუნის დასაწყისში.

ოპერაში სრულდება სოლო არიები, ვოკალური დუეტები, ტრიოები და კვარტეტები. პერსონაჟების შინაგანი სამყაროს და ხასიათის გახსნისათვის კომპოზიტორი იყენებს მუსიკის ჯადოსნურ ძალას.

*მოვუსმინოთ მუსიკას და ვიმღეროთ ნოტების მიხედვით*

### „გოგონათა გუნდი“ უზეირ ჰაჯიბეილის ოპერიდან „ქოროღლი“



უზეირ ჰაჯიბეილი





მემედ საიდ ორდუბადი

გენიალური კომპოზიტორის უზეირ ჰაჯიბეილის ოპერა „ქოროღლი“ წარმოადგენს მსოფლიო კლასიკური საოპერო ჟანრის ბრწყინვალე ნიმუშს. ლიბრეტოს ავტორია ცნობილი აზერბაიჯანელი მწერალი მამედ საიდ ორდუბადი. ოპერა „ქოროღლი“ ბაქოს საოპერო სცენაზე დაიდგა 1937 წელს, ხოლო მოსკოვის დიდ თეატრში – 1938 წელს. ოპერას საფუძვლად დაედო ტიპიური საგმირო ეპოსი „ქოროღლი“, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული აზერბაიჯანში და მთლიანად სამხრეთ კავკასიაში, შუა აზიაში, თურქეთსა და ირანში. ოპერაში ასახულია აზერბაიჯანელი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. ოპერაში ქოროღლი წარმოდგენილია, როგორც სახალხო აჯანყების მამაცი მეთაური. თავისი ამ ოპერით უზეირ ჰაჯიბეილიმ ფართო გზა გაუხსნა აზერბაიჯანული მუსიკალური ხელოვნების ყოველმხრივ განვითარებას.

**ეს უნდა იცოდეთ**

1908 წელს ბაქოში დადგმული ოპერით „ლეილი და მეჯნუნი“ უზეირ ჰაჯიბეილიმ საფუძველი ჩაუყარა აზერბაიჯანულ ეროვნულ ოპერას.

### შევისწავლოთ სიმღერა

## საზეიმო დღე

*მუსიკა უზეირ ჰაჯიბეილისა*
*სიტყვები მირმეჰდი სეიდზადესი*

I

დაგვდგომია ბედნიერი წლები,
ცეკვები და სიმღერები გვწყურია,
ბანს გვაძლევენ მთები, მინდორ-ველები
და ზეიმზე ყველას მიგვიხარია.

II

ვუგალობოთ ჩვენს სამშობლოს ლამაზს,
ბანს მოგვცემენ მთები, მინდორ-ველები.
შენ გიმღერით – მასწავლებელს და მამას,
შენგანა ვართ ასე ბედნიერები!



მირმეჰდი სეიდზადე

**კითხვები**

1. რა არის ოპერა?
2. რა არის ლიბრეტო?
3. ვინ ჩაუყარა საფუძველი საოპერო ჟანრს?
4. როდის დაიწერა ოპერა „ქოროღლი“ და როდის დაიდგა იგი მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე?

**დავალება:** მოუსმინეთ სიმღერას „საზეიმო დღე“ და ტაშითა და ფეხების ბაკუნით აჰყევით მის რიტმს.

თემა 6

## ლიბრეტო და ბალეტი



ჟან ბატისტ ლიული

**ბალეტი** არის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული წარმოდგენა. იგი აერთიანებს მუსიკას, ცეკვას, დრამატულ მოქმედებას და სახვითი ხელოვნების ელემენტებს. „ბალეტი“ ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს „ცეკვას“. ბალეტი, როგორც დამოუკიდებელი ჟანრი, პირველად შეიქმნა საფრანგეთში XV111 საუკუნის ბოლოს ჟ.ბ. ლიულისა და ჟ.ფ. რამოს მიერ. რუსეთში X1X-XX საუკუნეებში ამ ჟანრში დაიწერა პ. ჩაიკოვსკის, ი. სტრავინსკის, ს. პროკოფიევის და სხვათა ნაწარმოებები. აზერბაიჯანში ეს ჟანრი XX საუკუნეში აისახა ჩვენი უკვდავი კომპოზიტორების აფრასიაბ ბადალბეილის, ყარა ყარაევის, ფიქრათ ამიროვის, არიფ მელიქოვის, აღშინ ალიზადეს და სხვების შემოქმედებაში.



პეტრე ილიას ძე ჩაიკოვსკი

როგორც ოპერისათვის, ისე ბალეტისათვის თავიდან მისი მოკლე შინაარსი, ანუ ლიბრეტო იწერება. ოპერისაგან განსხვავებით, ბალეტის ლიბრეტო იწერება არა ლექსის, არამედ პროზის სახით. ლიბრეტოს ავტორი უნდა ერკვეოდეს საცეკვაო ხელოვნების დეტალებში. ბალეტის ინსცენირება ხდება ქორეოგრაფის მიერ. ბალეტის სიტყვიერი შინაარსი სცენაზე ხორციელდება ცეკვის საშუალებით.

პირველი აზერბაიჯანული ბალეტი შექმნა სახალხო არტისტმა აფრასიაბ ბადალბეილიმ. ეს იყო ბალეტი «Qız qalası» („ქალწულის კოშკი“). იგი დაიდგა აზერბაიჯანის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე 1940 წლის 18 აპრილს. ბალეტის თემად აღებული იყო ლეგენდა ქალწულის კოშკის შესახებ, რომელიც წარმოადგენს ბაქოს ძველ ისტორიულ-არქიტექტურულ ძეგლს. „ქალწულის კოშკი“ არის სამმოქმედებიანი ბალეტი, პროლოგითა და ეპილოგით. „ქალწულის კოშკი“ ასევე პირველ ბალეტს წარმოადგენს მუსულმანურ აღმოსავლეთში.



აფრასიაბ ბადალბეილი



*სცენა ბალეტიდან „ქალწულის კოშკი“*

**მოვუსმინოთ მუსიკას:** „ადაჯიო“ და „ვალსი“
აფრასიაბ ბადალბეილის ბალეტიდან „ქალწულის კოშკი“.

**ეს უნდა იცოდეთ**

ადაჯიო, როგორც სახელწოდებიდან ჩანს, სრულდება ნელ ტემპში, ხოლო ვალსი – ცოცხალ, ხალისიან ტემპში, ამ ცეკვის ხასიათის შესაბამისად.





**შევისწავლოთ სიმღერა**

## აზერბაიჯანი

*მუსიკა ფოლად ბულბულოღლისა*
*სიტყვები მასტან გიუნარისა*

I
სიყვარული და გულში გრძნობა მაქვს იმხელა,
რომ მსურს, სამშობლოს ვუთხრა ლამაზი სიმღერა.

**მისამღერი:**
ცას უწვდენს თოვლიან თავებს,
მზე თავზე დაჰნათის მთებს,
მზე არის სიცოცხლის ნიშანი.
ქვეყანას სად ნახავ მსგავსს?
მიწიერ სამოთხეს ჰგავს
ძვირფასი აზერბაიჯანი!

II
ასე ლამაზმა და მშვენიერმა ქალებმა,
ყველა მოხიბლეს, მათ ეშხს ვინ დაემალება?
თუ ტბა გეი-გელს მთის მარგალიტს ეძახიან,
ბულბულთა მხარე  ამაყი ყარაბახია.



ფოლად ბულბულოღლი

**მისამღერი:**

სიმღერას „აზერბაიჯანი“, რომელიც დაწერილია მუღამ „რასტის“ საფუძველზე ცვალებადი ტაქტის ზომით 6/8 (3/4), აქვს ხალისიანი საცეკვაო ხასიათი. სიმღერაში პოეზიისა და მუსიკის ენით უმღერიან უსაზღვრო სივრცეებს, ნაყოფიერ ველებს, მთებს, ტყეებს, მშობლიური მიწის ზურმუხტისფერ ტბებს.

**კითხვები**

1. სად შეიქმნა პირველი ბალეტი, როგორც ჟანრი?
2. როდის დაიდგა სცენაზე აფრასიაბ ბადალბეილის ბალეტი „ქალწულის კოშკი“?
3. რა მსგავსება და განსხვავებაა ოპერისა და ბალეტის ლიბრეტოებს შორის?

**დავალება:** მოიყვანე სიმღერის მაგალითები, რომლებიც მშობლიურ აზერბაიჯანს ეძღვნება.

თემა 7

# ლიბრეტო და ოპერეტა



ჟაკ ოფენბახი



იოჰან შტრაუსი (შვილი)

**ოპერეტა** – ესაა კომედიური მუსიკალური წარმოდგენა, რომელიც შედგება სიმფონიური ორკესტრის თანხლებით შესრულებული ვოკალური და საცეკვაო სცენებისაგან და სალაპარაკო ეპიზოდებისაგან. ოპერეტას ასევე უწოდებენ მუსიკალურ კომედიას. როგორც ჟანრი, ოპერეტა პირველად შეიქმნა საფრანგეთში X1X საუკუნის დასასრულს გამოჩენილი კომპოზიტორის ჟ. ოფენბახის მიერ.

შემდგომში ეს ჟანრი გავრცელდა მთელ ევროპაში. როგორც მუსიკალური ჟანრი, ოპერეტა განსაკუთრებით მოსწონდათ ვენაში. ვენურ ოპერეტებში ძირითადად გაბატონებული იყო მელოდიები, რომელიც ახლოს იდგა ავსტრიულ და უნგრულ ხალხურ მუსიკასთან. კომპოზიტორების შტრაუსი-შვილისა და ი. კალმანის მიერ შეიქმნა ოპერეტის ჟანრის შესანიშნავი ნიმუშები. აზერბაიჯანში ოპერეტის ჟანრის ფუძემდებელს წარმოადგენს უზეირ ჰაჯიბეილი.

როგორც ოპერისა და ბალეტის შემთხვევაში, ოპერეტის შექმნისთვისაც საჭიროა ლიბრეტოს დაწერა. პოეტური სახეების საფუძველზე, რომლებსაც ლიბრეტოს ავტორი წერს არიის, ვოკალური დუეტების, ტრიოების, კვარტეტების და გუნდების შესასრულებლად, კომპოზიტორი ქმნის სხვადასხვა წყობის მუსიკას. ოპერისაგან განსხვავებით, ოპერეტისათვის დაწერილ ლიბრეტოში პოეზიის ნიმუშებთან ერთად გამოყენებულია სალაპარაკო ტექსტები. ოპერეტაში ფართოდაა გამოყენებული ცეკვებიც.

**მოვუსმინოთ მუსიკას:** „ასკერის არია“ უზეირ ჰაჯიბეილის ოპერეტიდან „არშინ მალ ალან“.





*ფრაგმენტი ფილმიდან „არშინ მალ ალან“*

პრემიერა გენიალური უზეირ ჰაჯიბეილის ოპერეტისა „არშინ მალ ალან" შედგა 1913 წელს ბაქოში ტაგიევის თეატრში.

ნაწარმოებში ასახული მოვლენები ხდება ძველ ქალაქ შუშაში, რომელიც წარმოადგენს აზერბაიჯანული მუსიკის აკვანს. ლიბრეტოს ავტორი და კომპოზიტორი არის უზეირ ჰაჯიბეილი. იმ ღაზელების გარდა, რომელიც აღებულია მუჰამედ ფიზულის ნაწარმოებიდან „ლეილი და მეჯნუნი", ოპერეტის ტექსტი მთლიანად დამუშავდა თვით კომპოზიტორის მიერ. „ლეილი და მეჯნუნის" ღაზელი ჟღერს „ასკერის არიაში":

Nalədəndir ney kimi avazeyi-eşqim büländ,
Nalə tərkin qılmazam, ney tək kəsilsəm bənd-bənd.

**ვიმღეროთ ნოტების მიხედვით:** „ჯახან ხალის კუპლეტები" უზეირ ჰაჯიბეილის ოპერეტიდან „არშინ მალ ალან".




*შევისწავლოთ სიმღერა*

## QARABAĞ (ყარაბაღი)

*მუსიკა ჯაჰანგირ ჯაჰანგიროვისა*
*სიტყვები რაფიგ ზეკისა*

I
Sən ellərin, könüllərin,
Ülvi diyarısan.
Şirin canın, Azərbaycanın,
Bir əbədi baharısan...

**მისამღერი:**
Cənnətim Qarabağ,
Zinətim Qarabağ!
Nəğmələr gülüstanısan,
Sevgi dastanısan!

II
Quşlar uçar, güllər açar,
Mavi qucağında.
Hara baxsan, zövq alacaqsan,
Sənin İsa bulağında.
**მისამღერი:**



*ქალაქ შუშის განჯის ჭიშკარი*

სიმღერა „ყარაბახი" ხალისიანი ხასიათისაა, სრულდება ტაქტის ზომით 6/8, მუღამ „შუშტერის" საფუძველზე.

**კითხვები**

1. რომელ ქვეყანაში და ვის მიერ შეიქმნა ოპერეტის ჟანრი?
2. რომელ წელს დაიდგა სცენაზე ოპერეტა „არშინ მალ ალან"?
3. ვინ დაწერა ლიბრეტო ოპერეტისა „არშინ მალ ალან"?

**დავალება:** ხის და ლითონის კოვზების დახმარებით რიტმული თანხლება გაუწიეთ სიმღერა „ყარაბახის" მელოდიას.

თემა 8

# განვლილი თემების განმეორება

პოეზია → ხალხური სიმღერა; აშუღური სიმღერა; კომპოზიტორის სიმღერა

ლიბრეტო → ოპერა; ოპერეტა; ბალეტი

**მომღერალი-შემსრულებლები**


ხან შუშინსკი


ალიბაბა მამედოვი

**აშუღური ხელოვნების ოსტატები**


აშუღი შამშირი


აშუღი ადალიატი

**კომპოზიტორები**


განბარ ჰუსეინლი


აღაბაჯი რზაევა

**ოპერა „ქოროღლის“ ავტორები**

კომპოზიტორი


უზეირ ჰაჯიბეილი

ლიბრეტისტი


მამედ საიდ ორდუბადი

**პირველი აზერბაიჯანული ბალეტის ავტორი**

კომპოზიტორი | ლიბრეტისტი


აფრასიაბ ბადალბეილი

**პირველი აზერბაიჯანული ოპერეტის ავტორი**

კომპოზიტორი | ლიბრეტისტი


უზეირ ჰაჯიბეილი

# პოეზიის როლი მუსიკაში



# სიმღერა და პოეზია



რამიზ მირიშლი



რამიზ ყულიევი

სასიმღერო შემოქმედება გულისხმობს ორ მეთოდს: მუსიკა, დაწერილი ლექსებზე, და ლექსები, დაწერილი მისიკაზე. ლექსის და მელოდიის შეერთება გვაძლევს სიმღერას. არსებობს აგრეთვე უტექსტო სიმღერა, ასეც უწოდებენ: უსიტყვო სიმღერა. მაგრამ სიმღერა, რომელიც შექმნილია სიტყვებისა და მელოდიის შერწყმით, ადამიანზე ძლიერ ზეგავლენას ახდენს. ძალიან ხშირად სიმღერის მელოდია სრულდება გარკვეულ მუსიკალურ ინსტრუმენტზე. ამას ეწოდება სიმღერის ინსტრუმენტული შესრულება. გახმოვანება რამიზ მირიშლის სიმღერისა «Dalğalar» („ტალღები“), რომელსაც ასრულებს ცნობილი მეთარე, აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახალხო არტისტი რამიზ ყულიევი, წარმოადგენს მის ინსტრუმენტულ შესრულებას.

ცნობილი აზერბაიჯანელი შემსრულებლები გაბილ ალიევი – ქამანჩაზე, ვაგიფ მუსტაფზადე – პიანინოზე, რამიში – გიტარაზე, კამილ ჯალილოვი და ილხამ ნაჯაფოვი – სასულე ინსტრუმენტებზე – ითვლებიან შესანიშნავ ინსტრუმენტულ შემსრულებლებად.

სიმღერა «Dalğalar», რომელშიც გამოყენებულია მუღამ „სეგიახის“ ინტონაციები, ტაქტის ზომით 3/4, სევდიანი, მშვიდი ხასიათისაა.

*მოვისმინოთ მუსიკა და ვიმღეროთ ნოტების მიხედვით*

## DALĞALAR (ტალღები)

*მუსიკა რამიზ მირიშლისა*

*თარზე ასრულებს რამიზ ყულიევი*

*საშუალო ტემპში*



*შევისწავლოთ სიმღერა*

## NƏĞMƏLƏR (სიმღერები)

*მუსიკა ოქტაი რაჯაბოვისა*
*სიტყვები ბახტიარ ვაგაბზადესი*

I
Nə qədər gözəldir bizi bir anda,
Dalğadan-dalğaya atan nəğmələr.
Çarpışıb, döyüşür bəzən şir kimi,
Bəzən quzu kimi yatan nəğmələr.

მისამღერი:
Gəzir yer üzünü, gəzir büsbütün,
Elimin şöhrəti, şanıdır bu gün.
Yurdumu dünyaya tanıdır bu gün,
Ərzin o başına çatan nəğmələr.

II
Ümiddir, dayaqdır ürəyimizə,
Gəlir hər məqamda köməyimizə.
Çətinə düşəndə aparır bizi,
Bizim əlimizdən tutan nəğmələr.
მისამღერი:

III
Gah sevinc, gah da ki, qəm sarır bizi,
Torpaqdan ayırıb qoparır bizi.
Sirli bir aləmə aparır bizi,
Kədəri sevincə qatan nəğmələr.
მისამღერი:



სიმღერა «Nəğmələr» („სიმღერები"), ხალისიანი, მხიარული ხასიათისაა, ტაქტის ზომით 6/8, დაწერილია მუღამ „ბაიათი-შირაზის" საფუძველზე. სიმღერა შექმნილია გასული საუკუნის 80-იან წლებში და წარმატებით სრულდება დღესაც.

**კითხვები**

1. რას უწოდებენ უტექსტო სიმღერას?
2. როგორი ხასიათისაა კომპოზიტორ რამიზ მირიშლის სიმღერის «Dalğalar» მელოდია?
3. რომელი მუღამის საფუძველზეა დაწერილი სიმღერა «Dalğalar»?
4. ვინ არიან ავტორები სიმღერისა «Nəğmələr» („სიმღერები")?

**დავალება:** ტაშით აჰყევი სიმღერის «Nəğmələr» (სიმღერების) მელოდიის ტაქტის რიტმს.

თემა 10

# აშუღური მუსიკა და პოეზია

აშუღური ხელოვნება წარმოადგენს აზერბაიჯანელი ხალხის ეროვნულ-სულიერი ფასეულობების ერთ-ერთ ამოუწურავ წყაროს. ხელოვნების ამ სახეობის სრულყოფა საუკუნეების მანძილზე ხდებოდა და უმდიდრეს ტრადიციებს ფლობს. აშუღის ოსტატობას ფესვები უშორეს წარსულში აქვს – ზეპირ ხალხურ შემოქმედებაში. აშუღური ხელოვნებას საფუძვლად უდევს ბაიათები, ხალხური ანდაზები და თქმულებები, ხალხური მუსიკა.

**დასთანი** – აშუღური პოეზიის ყველაზე რთული და მტკიცედ ჩამოყალიბებული ჟანრია. პირველ მონუმენტურ ძეგლს აზერბაიჯანულ დასთანებს შორის წარმოადგენს „დედე გორგუდი“. ამ და სხვა დასთანებში აშუღი წარმოადგენს ხალხის საყვარელ პერსონაჟს. ისინი კეთილმოსურნეები არიან, ხალხს სიხარულს უძღვნიან, ჭეშმარიტ გზას უჩვენებენ, ანუგეშებენ, ბრძნულ რჩევებს იძლევიან. მისი გამოჩენა ხალხში ამყარებს მშვიდობასა და კეთილდღეობას, მოჩხუბრები რიგდებიან, მეომარი მხარეები იარაღს ჰყრიან. აშუღი – ესაა მშვიდობის მაუწყებელი. აშუღური ხელოვნების ყველაზე საუკეთესო მცოდნენი არიან უსტადები, ანუ ოსტატი-აშუღები. მათ სრულყოფილად იციან ფოლკლორი, ხალხური შემოქმედება, წერენ ლექსებს (დივანებს, გერაილებს, გოშმებს, თეჯნისებს, მუხამბაზებს) და თხზავენ მელოდიებს, იმავდროულად მღერიან და ცეკვავენ. უსტადი-აშუღები ქმნიან ხალხურ დასთანებს. აშუღებს, რომელთაც არა აქვთ პოეტური ნიჭი და ინდივიდუალური შემოქმედებითი შესაძლებლობანი, მაგრამ კარგად ფლობენ საზზე დაკვრისა და სიმღერის ხელოვნებას, უწოდებენ აშუღ-შემსრულებლებს. ხოლო აშუღური ხელოვნების პოეტური ნიმუშების შემქმნელებს უწოდებენ სახალხო პოეტებს, ანუ აშუღ-პოეტებს.

უსტადი აშუღები
↑
აშუღი პოეტები (სახალხო პოეტები) → აშუღები → აშუღი შემსრულებლები

*შევასრულოთ სიმღერა*

ვიმღეროთ აშუღ პანახის ლექსი «Unutma» („არ დაივიწყო“) საზის თანხლებით

## UNUTMA (არ დაივიწყო)



*აშუღი პანახი*

Qürbət elə səfər etsən, a dostum,
Bu yerlərdə güllü yazı unutma!
Xəzər sözü heç düşməsin dilindən,
Dəli Kürü, xan Arazı unutma!

Unutma Muğanı, qədim Gəncəni,
Bakının şöhrəti ucaltsın səni!
Görüb xoşlasan da bağı, gülşəni,
İlk ayaq açdığın düzü unutma!

Götür yol yoldaşı el nəğməsini,
Gözəl Qarabağın şikəstəsini!
Bülbülün, Şövkətin, Xanın səsini
Bir də mən Pənahın sazın unutma!

**მოვუსმინოთ მუსიკას:** „ქოროღლის აშუღური სიმღერა“ უზეირ ჰაჯიბეილის ოპერიდან „ქოროღლი“

**გავიხსენოთ და შევასრულოთ სიმღერა**

## AZƏRBAYCAN (აზერბაიჯანი)

*სანოტო ჩანაწერი საიდ რუსტამოვისა*
*სიტყვები სამედ ვურღუნისა*

I

Çox keçmişəm bu dağlardan,
Durnagözlü bulaqlardan.
Ayrılarmı könül candan,
Azərbaycan, Azərbaycan!

მისამღერი:
Yaşa, yaşa, Azərbaycan,
Ay anam, Azərbaycan.



II

El bilir ki, sən mənimsən,
Yurdum, yuvam, məskənimsən!
Anam, doğma Vətənimsən!
Azərbaycan, Azərbaycan!

მისამღერი:



III

Dağlarının başı qardır,
Ağ örpəyin buludlardır.
Oğlun, qızın bəxtiyardır,
Azərbaycan, Azərbaycan!

მისამღერი:

**კითხვები**

1. რა იცით აშუღური ხელოვნების შესახებ?
2. ვის უწოდებენ აშუღ-უსტადებს?
3. ვის უწოდებენ აშუღ-შემსრულებლებს?
4. ვის უწოდებენ აშუღ-პოეტებს?
5. რომელ ცნობილ აზერბაიჯანელ აშუღს იცნობთ?

**დავალება:** დახატე სიმღერა „აზერბაიჯანის“ შინაარსის შესაბამისი ნახატი.

თემა 11

# მუღამი და პოეზია

აზერბაიჯანული კლასიკური მუღამი შესრულების თავისებურების მიხედვით იყოფა 2 ჯგუფად: ინსტრუმენტული და ვოკალურ-ინსტრუმენტული მუღამები. მათ აქვთ მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები.

ინსტრუმენტული მუღამები



ვოკალურ-ინსტრუმენტული მუღამები



**მსგავსება**
1. ნაწილების დასახელება ერთნაირია.
2. ნაწილები შედგება ერთნაირი მუსიკალური ინტონაციებისაგან.
3. მუსიკა ერთნაირად ვითარდება.
4. შესრულებულ მუღამებს აქვთ ერთნაირი დასახელება.

**განსხვავება**
1. მუღამი სრულდება მომღერალი-ხანენდეს მიერ თარის და ქამანჩის თანხლებით.
2. მუღამის ნაწილების შესრულებისას ხანენდე იყენებს აზერბაიჯანული კლასიკური პოეზიის – ღაზელის ნიმუშებს.
3. დიდ ნაწილებს შორის ხანენდე ასრულებს თესნიფებს.
4. მცირე ნაწილებს შორის სრულდება საცეკვაო ხასიათის მელოდიები - დირინგე და რენგი.

### მოვუსმინოთ მუსიკას

**მოვისმინოთ ნაწილი „ბერდაშტი“ მუღამიდან „რასტი“ თვიდან თარის (ქამანჩის) შესრულებით, ხოლო შემდეგ – მომღერალი-ხანენდეს შესრულებით ინსტრუმენტული აკომპანიმენტით.**

ვოკალურ-ინსტრუმენტული მუღამების შესრულებისას გამოყენებულია აღმოსავლეთის ქვეყნებში ფართოდ გავრცელებული პოეტური ჟანრი „ღაზელი“. არსებობს შვიდი ძირითადი აზერბაიჯანული კლასიკური ინსტრუმენტული მუღამი: „რასტი“, „შური“, „სეგიახი“, ჩახარგიახი“, „ბაიათი-შირაზი“, „შუშტერი“, „ხუმაიუნი“. გენიალური კომპოზიტორი და მუსიკათმცოდნე უზეირ ჰაჯიბეილი ასე ახასიათებს განწყობილებას, რომელსაც იწვევს მსმენელებში სხვადასხვა ხასიათის მუღამები.



ვიმღეროთ ნოტების მიხედვით: ნაწყვეტი მუღამ „რასტის“ ნაწილიდან „ზერდაშტი“



მოვუსმინოთ მუსიკას: ნიაზის სიმფონიური მუღამის „რასტის“ ნაწილი „ზერდაშტი“


ნიაზი

„ზერდაშტი“ – ესაა შესავალი ნაწილი მუღამისა „რასტი“. ამ მუსიკალურ ნაწყვეტს ახასიათებს საზეიმო ხასიათი. სიმფონიური მუღამი „რასტი“ დაწერილია გამოჩენილი აზერბაიჯანელი დირიჟორისა და კომპოზიტორის ნიაზის მიერ 1949 წელს.

გარდა ამისა, ნიაზი არის ავტორი ოპერისა „ხოსროვი და შირინი“ (1942), ბალეტისა „ჩიტრა“ (1961), სიმფონიური ნაწარმოებებისა „ზაქათალის სუიტები“ (1934), „კაითაღი“ (1939), „საკონცერტო ვალსი“ და სხვ.

*შევისწავლოთ სიმღერა*

VƏTƏNİMSƏN (შენ ჩემი სამშობლო ხარ)

*მუსიკა რამიზ მირიშლისა*
*სიტყვები ფიქრათ კოჯასი*

I

Dağ gülləri min rəng çalır xalı kimi,
Bənövşələr gözəllərin xalı kimi,
Nəğmələr də dodaqların balı kimi,
Şirinləyir dodaqları səhər-axşam.

მისამღერი:
Ana torpaq, ana diyar, sən mənimsən,
Ömrüm, günüm, ruhum, canım, Vətənimsən.

II

Göllərində öz şəklini ceyran öpər,
Örpək kimi dumanları dağlar örtər,
Dağlarının ağ saçından zaman ötər,
Abşeronun Xəzər üstə yanan bir şam.



ეს სიმღერა შექმნილია ტაქტის ზომით 6/8, მუღამ „რასტის“ საფუძველზე და სრულდება ჩქარ ტემპში, აქვს ხალისიანი, მხიარული ხასიათი.

**კითხვები**

1. რაა მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები ინსტრუმენტულ და ვოკალურ-ინსტრუმენტულ მუღამებს შორის?
2. რა არის ღაზელი?
3. რომელ კლასიკურ აზერბაიჯანულ მუღამებს იცნობთ?
4. ვინ არიან ავტორები სიმღერისა «Vətənimsən» („შენ ჩემი სამშობლო

დავალება: მოამზადე ზეპირი პრეზენტაცია მუღამების შესახებ.

თემა 12

## რიტმული მუღამი და პოეზია

კლასიკური მუღამებისაგან განსხვავებით, რიტმულ მუღამებში მთელი შესრულების განმავლობაში ვოკალური იმპროვიზაცია იქმნება რიტმული თანხლებით. სწორედ ამიტომ უწოდებენ ამ მუღამებს „რიტმულს“. რიტმულ მუღამებს აქვთ თავიანთი სახელწოდებანი. ესენია:





სეიდ შუშანსკი

**არაზბარი** – ესაა შემადგენილი ნაწილი აზერბაიჯანული კლასიკური მუღამისა „შური“, ტაქტის ზომით 3/4. „არაზბარი“, მისთვის დამახასიათებელი ხალისიანი ხასიათით, სრულდება ნელა, სრული ხმით. ამ მუღამის ერთ-ერთი ვირტუოზული შემსრულებელი იყო ხანენდე სეიდ შუშანსკი.

შესიტყვება „არაზბარი“ შედგება სიტყვებისაგან „არაზ“ და „ბარ“ („სიუხვე“), ე. ი. იგი იხმარება მდინარე არაზის (არაქსის) ნაპირებზე არსებული ნაყოფიერი ველების მნიშვნელობით. „არაზბარი“ შეიქმნა ფიზულის რაიონში და მის მეზობლად განლაგებულ სამხრეთ აზერბაიჯანის რეგიონში. ჩვეულებრივ, ამ რიტმული მუღამის შესრულებისას გამოიყენება აშუღური პოეზია.

გენიალურმა აზერბაიჯანელმა კომპოზიტორმა უზეირ ჰაჯიბეილიმ რიტმული მუღამის „არაზბარის“ საფუძველზე შექმნა ამავე სახელწოდების ნაწარმოები სიმებიანი ორკესტრისათვის. თავის ნაწარმოებში კომპოზიტორი შეეცადა უცვლელი სახით შეენარჩუნებინა რიტმული მუღამის „არაზბარის“ მელოდიური ნახაზი. უზეირ ჰაჯიბეილიმ ასევე გამოიყენა „არაზბარი“ ოპერა „ლეილი და მეჯნუნის“ მეხუთე მოქმედებაში სიმფონიური ორკესტრისათვის დამუშავებული სახით.

**მოვუსმინოთ მუსიკას:** ნაწყვეტი უზეირ ჰაჯიბეილის რიტმული მუღამიდან სიმებიანი ორკესტრის შესრულებით.



*აზერბაიჯანული მუსიკალური ტრიო*



*სიმებიანი ორკესტრი*

*შევისწავლოთ სიმღერა*

## QIŞ MAHNISI (ზამთრის სიმღერა)

*მუსიკა აფსარ ჯავანშიროვისა*
*სიტყვები თოფიკ მუთალიბოვისა*

I

Hər tərəfə yağır qar,
Tez gəlin siz, uşaqlar.
Ağ geyinib meşə, dağ,
Qartopası oynayaq.

მისამღერი:

Qış gəlibdir, qış gəlib,
Bu yerlərə xoş gəlib.
Neyləyəcək qar bizə,
Dost olub bahar bizə.

II

Gizlənibdir turaclar,
Buz bağlayıb yamaclar.
Donub güllər, çiçəklər,
Əsir soyuq küləklər.



ფირანგიზ ალიზადე

**ეს უნდა იცოდეთ**

მსოფლიოში სახელგანთქმულმა კომპოზიტორმა ფირანგიზ ალიზადემ თავის ოპერაში „ინტიზარი“ გამოიყენა ცნობილი აზერბაიჯანული მუღამი „ყარაბაღ შიკესტესი“. ლიბრეტოს ავტორია პროფესორი ნარგიზ ფაშაევა.



ნარგიზ ფაშაევა

**კითხვები**

1. რა განსხვავებაა მუღამსა და რიტმულ მუღამს შორის?
2. რომელ ჟანრს მიეკუთვნება მუსიკალური ნიმუში „არაზბარი“?
3. რომელმა კომპოზიტორმა შექმნა ინსტრუმენტული ნაწარმოები „არაზბარი“?
4. ვინა არიან ავტორები სიმღერისა «Qış mahnısı» („ზამთრის სიმღერა“)?

**დავალება:** დახატე სიმღერის «Qış mahnısı» („ზამთრის სიმღერა“) შინაარსის შესატყვისი ნახატი.

## რომანსი და ღაზელი



*ნიზამი განჯელი*



*ასაფ ზეინალი*



*ბულბული*

რომანსი არის მცირე ზომის ვოკალური მუსიკალური ნაწარმოები ხმისთვის, მუსიკალური ინსტრუმენტების (ძირითადად ფორტეპიანოს) აკომპანიმენტით. რომანსის ჟანრის ფუძემდებელი აზერბაიჯანში არის კომპოზიტორი ასაფ ზეინალი.

აზერბაიჯანში არსებობს რომანსის კიდევ ერთი ჟანრი. ესაა – რომანსი-ღაზელი. რომანსი-ღაზელის ჟანრი გამოჩნდა 1940-იან წლებში უზეირ ჰაჯიბეილის შემოქმედებაში. X11 საუკუნის აზერბაიჯანული კლასიკური პოეზიის გენიოსის, პოეტი-მოაზროვნის ნიზამი განჯელის 800 წლისთავთან დაკავშირებით უზეირ ჰაჯიბეილიმ პოემის ორი ღაზელის საფუძველზე შექმნა ვოკალური ნაწარმოებები «Sənsiz» („უშენოდ“) (1941) და «Sevgili canan» („სატრფო“) (1943). ამით მან საფუძველი ჩაუყარა რომანსი-ღაზელის ჟანრს. მუსიკალური სტილის თვალსაზრისით რომანსი-ღაზელები «Sənsiz» და «Sevgili canan» გამოირჩევიან ორიგინალობით, ჰარმონიულობით და ეროვნული კოლორიტით. უზეირ ჰაჯიბეილის ორივე რომანსისათვის დამახასიათებელია გულში ჩამწვდომი მელოდია.

რომანსების «Sənsiz» და «Sevgili canan» პირველი შემსრულებელი იყო მსოფლიოში სახელგანთქმული მომღერალი ბულბული.

რომანსი-ღაზელის«Sənsiz» ერთ-ერთი შესანიშნავი შემსრულებელი იყო ასევე მსოფლიოში სახელგანთქმული აზერბაიჯანელი მომღერალი, სახალხო არტისტი მუსლიმ მაგომაევი.

### მოვუსმინოთ მუსიკას

### SƏNSİZ (უშენოდ)

*მუსიკა უზეირ ჰაჯიბეილისა*
*სიტყვები ნიზამი განჯელისა*



*ფრაგმენტი ფილმიდან „ნიზამი“. ნიზამის როლში საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი მუსლიმ მაგომაევი.*

XX საუკუნეში სხვადასხვა წელს ამ ჟანრში მრავალი შესანიშნავი ნიმუში შექმნეს ჩვენმა კომპოზიტორებმა – თოფიკ ყულიევმა, სულეიმან ალესკეროვმა, ჯაჰანგირ ჯაჰანგიროვმა, აღაბაჯი რზაევამ, შაფიგ ახუნდოვმა, რამიზ მუსტაფაევმა, ვასიფ ადიგეზალოვმა და სხვ. ერთ-ერთ ასეთ რომანს-ღაზელს წარმოადგენს სახალხო არტისტის, კომპოზიტორ სულეიმან ალესკეროვის «Vətənimdir» (ჩემი სამშობლო“), რომელიც შექმნა მუჰამედ ფიზულის ღაზელის ტექსტზე. ჯერ მოვისმინოთ ეს რომანსი, შემდეგ კი ნოტების მიხედვით შევასრულოთ მისი ნაწყვეტი.

*ვიმღეროთ ნოტების მიხედვით და მოვუსმინოთ მუსიკას*

## VƏTƏNİMDİR (ჩემი სამშობლო)

*მუსიკა სულეიმან ალესკეროვისა*
*სიტყვები მუჰამედ ფიზულისა*

*მოდერატო*



Pənbeyi-daği-cünun içrə nihandır bədənim,
Diri olduqca libasım budur, ölsəm kəfənim.

Canı canan diləmiş, verməmək olmaz, ey dil!
Nə niza eyləyəlim, ol nə sənindir, nə mənim.

Edəməm tərk, Füzuli, səri-kuyin yarın,
Vətənimdir, vətənimdir, vətənimdir vətənim.



*მუჰამედ ფიზული*

*გავიხსენოთ და შევასრულოთ სიმღერა*

## QALİBLƏR MAHNISI (გამარჯვებულთა სიმღერა)

*მუსიკა განბარ ჰუსეინლისა*
*სიტყვები ალექბერ ზიატაისა*

**კითხვები**

1. რა არის რომანსი?
2. რა არის რომანსი-ღაზელი?
3. იცით თუ არა, რომელი რომანსი-ღაზელები შექმნა უზეირ ჰაჯიბეილიმ?
4. ვინ არიან ავტორები რომანსი-ღაზელისა «Vətnimdir» (ჩემი სამშობლო“)?

**დავალება:** გვიამბე, რა მსგავსება და განსხვავებაა რომანსსა და რომანს-ღაზელის ჟანრებს შორის.

თემა 14

# განვლილი თემების განმეორება

| | |
|---|---|
| ხალხური და კომპოზიტორების მიერ შექმნილი სიმღერები | პოეზია |
| | ხალხური ან კომპოზიტორების მიერ შექმნილი მელოდიები |
| აშუღური მელოდიები | აშუღური პოეზია |
| | აშუღური მელოდიები |
| მუღამები | ღაზელი |
| | მუღამური მელოდიები |
| რიტმული მუღამები | აშუღური და ხალხური პოეზია |
| | რიტმული მუღამური მელოდიები |
| რომანსი-ღაზელი | ღაზელი |
| | კომპოზიტორის მიერ შექმნილი მუსიკა |



პოეზია ოდითგანვე ამდიდრებდა ადამიანის სულიერ სამყაროს, აძლევდა მათ ცხოვრებისა და შემოქმედების, სილამაზით ტკბობის შესაძლებლობას. პოეზიის იმ ჟანრების გვერდით, როგორიცაა გოშმა, ბაიათი, ნაზლამა, ოხშამა, ღაზელი და გერაილი, არსებობს სიმღერები, რომლებიც სასიამოვნო გრძნობებს იწვევენ, სიხარულს ანიჭებენ ადამიანებს, აღძრავენ მათში გმირობის სურვილს, მოუწოდებენ მათ სამშობლოს, დედის, კაცობრიობის სიყვარულისაკენ. ყველა სიმღერა, რომელთაც ჩვენთვის ვღიღინებთ ხოლმე, შექმნილია პოეზიის ზემოთჩამოთვლილი სახეების საფუძველზე. ლექსი – ეს სასწაულია, რომელიც სიტყვებითაა შეძერწილი, ხოლო მუსიკა – ბგერებით შეძერწილი სასწაულია. როდესაც სიტყვები და მუსიკა ერთმანეთს ერწყმება, ვღებულობთ ჯადოსნურ სილამაზეს.

# მუსიკა და სახვითი ხელოვნება



თემა 15

## კასპიის თემა მუსიკაში და სახალხო მხატვრის ტაირ სალახოვის შემოქმედებაში

მუსიკა ასახავს ბუნებრივი მოვლენების მდიდარ ბგერით პალიტრას. თუ ყურადღებით მოვუსმენთ მუსიკას, სხვადასხვა მელოდიებში გავიგონებთ ჭექა-ქუხილის, ზღვის ტალღების ხმაურის, წყლის ჩუხჩუხის, შემოდგომის ფოთლების შარიშურის და სხვათა ბგერებს. ამ ბგერების მოსმენისას ჩვენს თვალწინ ცოცხლდება ბუნების მსგავსი სურათები. მრავალი მხატვარი ამ მოსმენილი მუსიკის შთაბეჭდილებით ქმნის სახვითი ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშებს. ზოგჯერ პირიქითაც ხდება. ფერწერის შესანიშნავი ნიმუშების მიერ აღძრული შთაბეჭდილებით იქმნება მუსიკა.

გენიალური იტალიელი მოქანდაკე მიქელანჯელო ბუონაროტი ამბობს: „კარგი სახვითი ხელოვნება – ესაა მუსიკა, მელოდია". როდესაც ვუსმენთ სიმფონიურ სურათს „ოკეანე – ლურჯი ზღვა" დიდი რუსი კომპოზიტორის ნ. რიმსკი-კორსაკოვის ოპერიდან „სადკო", თვალწინ წარმოგვიდგება მხატვარ ნიკას საფრონოვის ნახატი „ზღვის ცისფერი ტალღები". ორივე შემთხვევაში კომპოზიტორი და მხატვარი ერთნაირ სიყვარულს ავლენენ ზღვისადმი.

*გავიხსენოთ და მოვუსმინოთ მუსიკას*

### „ოკეანე – ლურჯი ზღვა" ნ. რიმსკი-კორსაკოვის ოპერიდან „სადკო"



*ნიკას საფრონოვი „ზღვის ცისფერი ტალღები"*



*კადრი ფილმიდან „სადკო"*

ეს ნიშნავს, რომ რისი გამოხატვაც მუსიკას სურს, შეიძლება გამოიხატოს სახვითი ხელოვნების ნაწარმოებითაც. მეტიც, როგორც მუსიკაში, ისე ფერწერაში არის ისეთი საერთო ტერმინები, როგორიცაა ტონალობა, კოლორიტი, ფერადოვნება.

მუსიკაში, რომელიც დაწერა მსოფლიოში სახელგანთქმულმა კომპოზიტორმა ყარა ყარაევმა დოკუმენტური ფილმისათვის „ზღვის დამპყრობნი", ასევე ვხედავთ მღელვარე ზღვის სურათს.

მოვუსმინოთ მუსიკას

### ნაწყვეტი ფილმიდან „ზღვის დამპყრობნი"

*მუსიკა ყარა ყარაევისა*



*ტაირ სალახოვი*

როცა ამ მუსიკალურ ნაწარმოებს ვუსმენთ, თვალწინ წარმოგვიდგება მშობლიური კასპიის სურათები, როგორც სიმშვიდის, ისე შტორმის, ქარიშხლის დროს. აზერბაიჯანის გამოჩენილი სახალხო მხტვარი ტაირ



*ტაირ სალახოვი. „შემკეთებლები“*



*„ახალი ზღვა“*

სალახოვიც მშობლიურ კასპიას ასევე დიდი ოსტატობით გამოსახავს. ნახატებში „შემკეთებლები“ და „ახალი ზღვა“ აშკარად იგრძნობა მხატვრის მხურვალე სიყვარული მშობლიური კასპიისადმი. ორივე ხელოვანი, როგორც ყარა ყარაევი, ისე ტაირ სალახოვი, ქმნიან ზღვის სურათებს.

ორივე მათგანმა უკვდავყო ცისფერი კასპიის სახე: ყარა ყარაევმა მუსიკაში, ტაირ სალახოვმა სახვით ხლოვნებაში.

*შევისწავლოთ სიმღერა*

## GƏNCLİK MAHNISI (სიყმაწვილის სიმღერა)

*მუსიკა ყარა ყარაევისა*
*სიტყვები ევგენი დოლმატოვსკისა*

I

Dalğalı Xəzərdə biz saldıq,
İlk qəhrəman bir şəhər.
Bu şəhərdən, bu yerdən,
Görməyib heç bəşər.

მისამღერი:
Bir vüqarla, iftixarla,
Durur şöhrət adası.
Buruqların dalğalarla,
Qovğası var, qovğası.

II

Hər yandan gur dalğa, bax,
Hücum çəkir həm gecə, həm gündüz.
Qardaşlıq və dostluğa,
Bata bilməz dəniz.

მისამღერი:

**კითხვები**

1. მხატვარ ტაირ სალახოვის რომელი ნახატები ეძღვნება კასპიის ზღვას?
2. ვინ არიან „სიყმაწვილის სიმღერის“ ავტორები?
3. რა სურათები წარმოგვიდგება თვალწინ „სიყმაწვილის სიმღერის“ მოსმენისას?

დავალება: დახატე „სიყმაწვილის სიმღერის“ შინაარსის ამსახველი ნახატი.

თემა 16

# მუსიკა და მუსიკალური სურათები სახალხო მხატვრის თოღრულ ნარიმანბეკოვის შემოქმედებაში





რაიმე მუსიკალური ინსტრუმენტის დანახვისას ან სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ყურებისას, რომელიც მუსიკასთანაა დაკავშირებული, ჩვენ უნებლიეთ გაგვახსენდება რომელიმე ნაცნობი მელოდია. მუსიკოსი შემსრულებლების გამოსახულებანი ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტისა და ინდოეთის ძეგლებში გვხვდება. ამ ძეგლებზე გამოსახულნი არიან ჭაბუკები და გოგონები, რომელნიც უკრავენ კითარაზე, ბარბითზე, ჰობოიზე, ციტრაზე და სხვა მუსიკალურ ინსტრუმენტებზე. ყველა ძველბერძნულ მხატვრობაში სახელგანთქმული მომღერალი ორფეოსი გამოხატულია მუსიკალურ ინსტრუმენტთან – ლირასთან ერთად.



*თოღრულ ნარიმანბეკოვი*



*„დღესასწაული სოფელ ბუზოვნაში“*



*„ქორწილი ბაქოში“*

*მოვუსმინოთ მუსიკას და ვიმღეროთ ნოტების მიხედვით*

## თარაქამა

(აზერბაიჯანული ხალხური ცეკვა)




„თარაქამა“ ძველებური ხალხური ცეკვაა. „თარაქამა“ – ესაა ცეკვა, ძირითადად, მესაქონლე მომთაბარეთა ტომის თარაქამასი, რომლებიც ცხოვრობდნენ აზერბაიჯანის სხვადასხვა ადგილას. აზერბაიჯანული ხალხური ცეკვა „თარაქამა“, ტაქტის ზომით 6/8, ხალისიანი, მხიარული ხასიათისაა. ამ

ცეკვის მელოდია ჩქარი ტემპისაა. ცეკვა „თარაქამას“ განწყობილება შეესატყვისება თოღრულ ნარიმანბეკოვის ნახატის „დღესასწაული სოფელ ბუზოვნაში“ სულისკვეთებას. სურათში გამოსახულია ერთ-ერთი ჩვეულებრივი ეზო სოფელ ბუზოვნაში, სადაც დღესასწაულობენ ეზოში მყოფი ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა საქმით არიან დაკავებულნი. სურათის ცენტრში გამოსახულია ტრიო, რომლის წევრები უკრავენ კლარნეტზე, ზურნასა და ნაღარაზე. მათ მიერ შესრულებულ მუსიკაზე ცეკვავენ ბავშვები. ნახატის სტილი ეხმაურება ხალისიანი აზერბაიჯანული ცეკვის რიტმს. მხატვრის სურათები „ქორწილი ბაქოში“, „სიმღერა“, „მომღერალი აშუღი“ ასევე მოგვაგონებს ჩვენს მუსიკალურ, ხალისიანი ხასიათის ნიმუშებს.

**ეს უნდა იცოდეთ**

**რამდენიმე მუსიკოსის ერთობლივ, ე. ი. კოლექტიური შესრულებას ეწოდება ანსამბლი. ორი შემსრულებლისაგან შემდგარ ანსამბლს ჰქვია დუეტი, სამისას – ტრიო, ოთხისას – კვარტეტი, ხუთისას – კვინტეტი.**

*შევისწავლოთ სიმღერა*

## ჩემი ბაღი

*მუსიკა განზარ ჰუსეინლისა*
*სიტყვები გერა ფაზლისა*

I
ჰეი, ბავშვებო, მოდით, მოდით,
ჩემს ლამაზ ბაღში!
ისე კოხტა
და კარგია
დილის ცვარ-ნამში!

II
დარგული მაქვს აქ ხეები,
ვრწყავ კიდეც დღემდის,
გავიხარებ -
„ავყვავდიო“,
როდესაც მეტყვის.

III
შემოდგომით ხილს მომიძღვნის
იგი ნამდვილად,
მეც მაშინვე
გიმასპინძლებთ,
შეგარგოთ ტკბილად!



ხალისიანი და საცეკვაო ხასიათის სიმღერა „ჩემი ბაღი“, ტაქტის ზომით 6/8, სრულდება ჩქარ ტემპში. მას აქვს ძალიან მარტივი და ადვილად დასამახსოვრებელი მელოდია.

**კითხვები**

1. თოღრულ ნარიმანბეკოვის რომელ ნახატზეა გამოსახული მუსიკალური ანსამბლი?
2. რა შეგიძლიათ თქვათ ცეკვა „თარაქამას“ შესახებ?
3. რა არის ანსამბლი?

დავალება: **დახატე სიმღერა „ჩემი ბაღის“ შინაარსის ამსახველი ნახატი.**

თემა 17

# მუღამური დესგიახი და სახვითი ხელოვნება

მუღამები ორი სახისაა: მუღამური დესგიახები და რიტმული მუღამები.

მუღამური დესგიახები ← მუღამები → რიტმული მუღამები

**დესგიახი** – ესაა მუღამი, რომლის ყველა შემადგენელი ნაწილი სრულდება ერთ მთლიანობად. მუღამურ დესგიახებს ხშირად უწოდებენ მრავალნაწილიან ვოკალურ-ინსტრუმენტულ პოემას. მუღამური დესგიახი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:



შესავალი (დერამედი)



Muqamnıy desqəx

თესნიფი (სასიმღერო ხასიათის)

მუღამური დესგიახი იმპროვიზაციური ხასიათის რამდენიმე ვოკალურ-ინსტრუმენტული ნაწილი



რენგი (საცეკვაო ხასიათის)



ვოკალურ-ინსტრუმენტული მუღამური დესგიახები სრულდება აზერბაიჯანსა და ირანში ფართოდ გავრცელებული ღაზელების საფუძველზე არუზის საზომით.

**მოვუსმინოთ მუსიკას: ნაწყვეტი დესგიახიდან „რასტი“**

მოსმენილი ნაწყვეტიდან ჩანს, რომ მუღამის შესრულებას მომღერალ-ხანენდეს მიერ თან ახლავს თარი და ქამანჩა, დაირაზე რიტმული დარტყმების გარეშე.

„რასტის“ ან სხვა მუღამური დესგიახის მოსმენისას თვალწინ წარმოგიდგებათ სახალხო მხატვრის თოღრულ ნარიმანბეკოვის სურათი „მუღამი“. სურათზე გამოსახულია მომღერალი ხანენდე დაირით ხელში, რომელიც ასრულებს ერთ-ერთ კლასიკურ აზერბაიჯანულ მუღამს თარისა და ქამანჩის თანხლებით.



თოღრულ ნარიმანბეკოვი
„მუღამი“

*შევასრულოთ ერთხმიანი სიმღერა ნოტების მიხედვით*

## BİZİM ÖLKƏ (ჩვენი ქვეყანა)

(აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა)




ეს ხალხური სიმღერა შექმნილია მუღამ „რასტის“ საფუძველზე.

*შევასრულოთ სიმღერა მუღამ „რასტის“ საფუძველზე.*

## თანამგზავრი

*მუსიკა ფიქრათ ამიროვისა*
*სიტყვები თემურ ელჩინისა*

მე – თანამგზავრი,
მივფრინავ მაღლა,
ზეცისკენ მიდის
ჩემი გზა ლაღად.
ბიპ-ბიპ, ბიპ-ბიპ,
მთელ ქვეყანაზე,
ბავშვებმა ვიცით
სიმღერა ასე.

გიგზავნით სალამს
ზეციდან ყველა, –
ვარსკვლავი, მთვარე,
მზე, ცისარტყელა.
ბიპ-ბიპ, ბიპ-ბიპ,
მე ყველას ვიცნობ,
და ამ სიმღერით
თავს თქვენთანა ვგრძნობ.

როგორც ცნობილია, მუღამების საფუძველზე მრავალი შესანიშნავი სიმღერაა შექმნილი ხალისიანი, მხიარული ხასიათის. ფიქრათ ამიროვის სიმღერა „თანამგზავრი“, ტაქტის ზომით 6/8, ასევე მუღამ „რასტის“ საფუძველზეა დაწერილი. მისი მელოდია ჟღერს გამა მი-ბემოლ მაჟორში. სიმღერის კუპლეტი იწყება მაღალი ნოტით, თანდათან დაბლდება ბანამდე და მთავრდება ოქტავის ბგერა მი-ბემოლზე.

**კითხვები**

1. რამდენი სახის მუღამი არსებობს?
2. რა არის მუღამი დესგიახი?
3. რას უწოდებენ მუღამ დესგიახის შემადგენელ ნაწილებს?
4. ვინ არიან სიმღერა „თანამგზავრის“ ავტორები?

**დავალება:** დახატე სიმღერა „თანამგზავრის“ შინაარსის შესატყვისი ნახატი.

თემა 18

# მშვიდობის თემა მუსიკასა და სახვით ხელოვნებაში

1949 წელს პარიზსა და პრაღაში გამართული მშვიდობის მომხრეთა პირველი საერთაშორისო კონფერენციის ემბლემა დახატა ცნობილმა ესპანელმა მხატვარმა პაბლო პიკასომ. ემბლემაზე გამოსახულია თეთრი მტრედი, რომელსაც ნისკარტით მოაქვს ზეთისხილის რტო. ნამუშევარს ჰქვია „მშვიდობის მტრედი“.



*პაბლო პიკასო*



*„მშვიდობის მტრედი“*



*კამილ ნაჯაფზადე*
*„დედა და შვილი“*

მშვიდობის თემა წარმოადგენს აზერბაიჯანული ლიტერატურის, სახვითი ხელოვნებისა და მუსიკის ერთ-ერთ წამყვან თემას. მხატვარმა კამილ ნაჯაფზადემ თავის სურათში „დედა და შვილი“ შექმნა სახე შვილის დამცველი დედისა, რომელიც მშვიდობასა და სიმშვიდეზე ოცნებით ცოცხლობს. ამ ნახატის ყურებისას უნებურად გახსენდებათ გამოჩენილი აზერბაიჯანელი კომპოზიტორის ყარა ყარაევის „მოსწავლეების სიმღერა მშვიდობაზე“.

ჩვენ უკვე ვიცნობთ გამოჩენილი კომპოზიტორის ყარა ყარაევის საზეიმო მარშის ტემპში აჟღერებულ „მოსწავლეთა სიმღერას მშვიდობაზე“. ეს სიმღერა დაწერილია მუღამ „რასტის“ საფუძველზე. სანოტო ჩანაწერში გამოყენებულია რეპრიზა, ე. ი. ნიშანი, რომელიც აღნიშნავს, რომ მეორედაა გამოყენებული წინა სანოტო ჩანაწერი.

**გავიხსენოთ სიმღერა და ვუდირიჟოროთ მას ნოტების მიხედვით**

**ყარა ყარაევის**
**„მოსწავლეების სიმღერა მშვიდობაზე“**



## მოვუსმინოთ სიმღერას: ნაწყვეტი ჯოვდათ გაჯიევის სიმფონიური პოემიდან „მშვიდობისთვის“



ჯოვდათ გაჯიევი

XX საუკუნის აზერბაიჯანელ კომპოზიტორთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ჯოვდათ გაჯიევი დაიბადა 1917 წელს შექში. მან განათლება მიიღო მოსკოვის პ.ი. ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიაში, სწავლობდა მსოფლიოში ცნობილი კომპოზიტორის დ. შოსტაკოვიჩის კლასში.

ნაწარმოებში „მშვიდობისათვის“ ჯოვდათ გაჯიევი შეეხო თავისი დროის მნიშვნელოვან, აქტუალურ პრობლემებს. როდესაც ამ მუსიკას უსმენ, თვალწინ წარმოგიდგებათ სიკეთის ბრძოლა ბოროტებასთან. ნაწარმოების ფინალში სიკეთე ამარცხებს ბოროტებას. ჯოვდათ გაჯიევმა ასევე შექმნა მთელი რიგი მნიშვნელოვანი მუსიკალური ნაწარმოებები - სიმფონიეტები, ორატორიები, ბალადები, სონატები, გუნდები. ამავდროულად კომპოზიტორი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც. მან დიდი როლი ითამაშა ისეთი კომპოზიტორების ჩამოყალიბებაში, როგორიცაა აღშინ ალიზადე, ოქტაი ქაზიმი, ოქტაი რაჯაბოვი, გიულნაზ აბდულაზადე, რაშიდ ნასიბოღლუ და სხვ.

### *ვიმღეროთ ნოტების მიხედვით და სიტყვებით*

### ZƏFƏR BİZİMDİR (გამარჯვება ჩვენია)

*აუჩქარებლად*

*მუსიკა შაფიგ ახუნდოვისა*
*სიტყვები აბდულ შაიგისა*




Çəkil bu torpaqdan, ey xain düşmən,
Bu azad xalqımı yaxşı tanı sən.
Göz dikmə sevimli, azad yurduma,
Yurdum arxalanır mərd orduma.

**კითხვები**

1. ვინ არიან ავტორები „მოსწავლეთა სიმღერისა მშვიდობაზე“?
2. ვინ არის პ. პიკასო და მისი რომელი ნაწარმოებები იცით?
3. რა არის ძირითადი თემა ჯ. გაჯიევის სიმფონიური პოემისა „მშვიდობისათვის“?

დავალება: დახატე სურათი მშვიდობის სიმბოლოს – მტრედის გამოსახულებით.

თემა 19

## ნიზამი განჯელის სახე მუსიკასა და სახვით ხელოვნებაში


გაზანფარ ხალიგოვი

გენიალური აზერბაიჯანელი პოეტის ნიზამი განჯელის პირველი პორტრეტი შექმნა სახალხო მხატვარმა გაზანფარ ხალიგოვმა პოეტის დაბადებიდან 800 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

ბაქოსა და განჯაში პოეტის შესანიშნავი ძეგლების ავტორია სახალხო მხატვარი ფუად აბდურახმანოვი.

გამოჩენილმა აზერბაიჯანელმა კომპოზიტორმა ფიქრათ ამიროვმა თავის სიმფონიაში „ნიზამი", რომელიც სიმებიანი ორკესტრისთვისაა დაწერილი, შეძლო დიდი ოსტატობით აღედგინა გენიალური ნიზამის სახე.


ფიქრათ ამიროვის პორტრეტი

ფიქრათ ამიროვმა სიმფონია „ნიზამი" მიუძღვნა ნიზამის დაბადებიდან 800 წლისთავს. ეს ნაწარმოები, რომელიც 1947 წელსაა დაწერილი, მოგვიანებით აჟღერდა ყველაზე გამოჩენილი დირიჟორების მიერ არა მხოლოდ აზერბაიჯანში, არამედ რუსეთში, გერმანიაში, საფრანგეთში, აშშ-ში. როცა ფიქრათ ამიროვის სიმფონიას „ნიზამის" უსმენთ, თვალწინ წარმოგიდგებათ გენიალური ნიზამი განჯელის პორტრეტი.

**მოვუსმინოთ მუსიკას:** ნაწყვეტი ფიქრათ ამიროვის სიმფონიის „ნიზამის" 1-ლი ნაწილიდან.

**ეს უნდა იცოდეთ**

აზერბაიჯანში სიმფონიური მუსიკის შექმნა, მათ შორის სიმფონიებისა, როგორც ჟანრისა, ხდება XX საუკუნის მეორე ნახევარში. სიმფონიური ჟანრის შესანიშნავი ნიმუშები შექმნეს გამოჩენილმა აზერბაიჯანელმა კომპოზიტორებმა – ყარა ყარაევმა, ფიქრათ ამიროვმა, ჯოვდათ გაჯიევმა, სოლთან ჰაჯიბეკოვმა, არიფ მელიქოვმა, ხაიამ მირზაზადემ, ფირანგიზ ალიზადემ და სხვ.

გენიალური ნიზამის სახემ ასევე ჰპოვა ადგილი თვალსაჩინო აზერბაიჯანელი კომპოზიტორის აფრასიაბ ბადალბეილის შემოქმედებაში. ამის მაგალითია მისი ოპერა „ნიზამი". ოპერის ლიბრეტო თავად ავტორმა დაწერა.

**მოვუსმინოთ მუსიკას:** „რენას სიმღერა“ აფრასიაბ ბადალბეილის ოპერიდან „ნიზამი“

რენა იყო ნიზამი განჯელის მეუღლე. მისი სახე უკვდავყოფილია დიდი პოეტის შემოქმედებაში. ლექსები «Sənsiz» („უშენოდ“) და «Sevgili canan» („სატრფო“), მუსიკაში გადაიტანა უზეირ ჰაჯიბეილიმ. ჩვენთვის კარგად ცნობილი რომანსი-ღაზელები ასევე ნიზამის მეუღლეს ეძღვნება.

*შევისწავლოთ სიმღერა*

## ODLAR YURDU (ცეცხლთა ქვეყანა)

*მუსიკა ფიქრათ ამიროვისა*
*სიტყვები თემურ ელჩინისა*

I

Qəlbini ucaltmış göyə məşəltək,
Bakıdır köksündə döyünən ürək,
Gülür gözlərində böyük gələcək.

**მისამღერი:**
Eşitsin obalar, ellər bu səsi,
Bu gün bayram edir Odlar ölkəsi.

II

Dostluğun eşqilə ucalırıq biz,
Gül açır, bar verir diləklərimiz,
Bir vurur hər zaman ürəklərimiz.

**მისამღერი:**

III

Sevinclə ötüşür onun hər anı,
Dillərdə dolaşır şöhrəti, şanı,
Zəfərlər ucaldır Azərbaycanı.

**მისამღერი:**





**კითხვები**

1. ვინ შექმნა პირველად ნიზამი განჯელის პორტრეტი?
2. ვინ არის ავტორი ნიზამი განჯელის ძეგლებისა, რომლებიც ბაქოსა და განჯაშია აღმართული?
3. რომელმა კომპოზიტორმა დაწერა სიმფონია „ნიზამი“?
4. ვინ არიან ავტორები სიმღერისა «Odlar yurdu» („ცეცხლთა ქვეყანა“)?

**დავალება:** გვიამბე ხელოვნების ნიმუშების შესახებ, რომლებიც ცეცხლთა ქვეყანას – აზერბაიჯანს ეძღვნება.

თემა 20

# მუჰამედ ფიზულის სახე მუსიკასა და სახვით ხელოვნებაში



*მუჰამედ ფიზული*

აზერბაიჯანელი პოეტისა და მოაზროვნის მუჰამედ ფიზულის ცხოვრება და მოღვაწეობა გამოირჩევა ღრმა შინაარსითა და მრავალმხრივობით. იგი ავტორია უჭკნობი ნაწარმოებებისა, რომლებიც დაწერილია არა მხოლოდ მშობლიურ, არამედ არაბულ და სპარსულ ენებზე. მ. ფიზულიმ შექმნა კლასიკური პოეზიის უნიკალური ნიმუშები. მისი პოემის საფუძველზე „ლეილი და მეჯნუნი“ გენიალურმა კომპოზიტორმა უზეირ ჰაჯიბეილიმ 1908 წელს შექმნა ამავე სახელწოდების ოპერა. ამ მუღამ-ოპერით კომპოზიტორმა საფუძველი ჩაუყარა ოპერის ჟანრს არა მხოლოდ აზერბაიჯანში, არამედ მთელ მუსულმანურ აღმოსავლეთში. ლიბრეტოს ავტორი თავად კომპოზიტორია.

**ეს უნდა იცოდეთ**

დიდ საგუნდო კოლექტივს ეწოდება გუნდი, რომელიც შედგება მამაკაცებისა და ქალებისაგან. ხშირად ასეთ გუნდს უწოდებენ შერეულ გუნდს. ასეთ გუნდში ქალის ხმებს უწოდებენ „სოპრანოს“ და „ალტს“, ხოლო მამაკაცის ხმებს – „ტენორს“, „ბარიტონს“ და „ბანს“.

ტაქტის ზომა 3/8-ის დირიჟორობა ისეთივეა, რაც ტაქტის ზომა 3/4-ისა.

*ვიმღეროთ ნოტების მიხედვით*

## უზეირ ჰაჯიბეილის ოპერა „ლეილი და მეჯნუნი“
## ნაწყვეტი დუეტიდან „ლეილი და იბნ სალამი“










*ოპერა „ლეილი და მეჯნუნი“ ჩვენს სცენაზე*

**მოვუსმინოთ მუსიკას:** ნაწყვეტი ჯაჰანგირ ჯაჰანგიროვის კანტატა „ფიზულის“ 11 ნაწილიდან



სადიგ შარიფზადე

მუჰამედ ფიზულის პიროვნება და შემოქმედება საყვარელი თემებია როგორც მუსიკაში, ასევე სახვით ხელოვნებაში. კომპოზიტორი ჯაჰანგირ ჯაჰანგიროვი, რომელმაც მუჰამედ ფიზულის ღაზელებზე დაწერა კანტატა „ფიზული“, იყენებს მუსიკის გამომსახველობით საშუალებებს და ოსტატურად ხსნის გენიალური პოეტის დიად სახეს, მის განუმეორებელ, მდიდარ შინაგან სამყაროს. ამ მუსიკის მოსმენისას თვალწინ წარმოგიდგებათ დიდი ფიზულის პორტრეტი. კანტატას საფუძვლად უდევს პოეტის სამი ღაზელი. მხატვარმა სადიგ შარიფზადემ 1958 წელს შექმნა სურათი „მუჰამედ ფიზული“, რომელმაც სამუდამოდ აღბეჭდა დიდი პოეტის სახე ისტორიის ხსოვნაში.

**შევასრულოთ სიმღერა**

## BEŞİK NƏĞMƏSİ (იავნანა)

(აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა)

| I | II | III |
|---|---|---|
| Laylay dedim, yatasan, | Könlümün bir gülüsən, | Laylay dedim həmişə, |
| Qızılgülə batasan. | O gülün bülbülüsən. | Karvan gedər enişə. |
| Gül yastığın içində, | Sinəmin sünbülüsən, | Yastığında gül bitsin, |
| Şirin yuxu tapasan. | Səni, balam, sevirəm. | Döşəyində bənövşə. |

არის სიმღერები, რომელსაც ყველა დედა უმღერის თავის პატარას. ამ სიმღერებს, რომელშიც დედის ყველაზე ნაზი გრძნობებია ჩაქსოვილი თავისი ჩვილის მიმართ, იავნანა ჰქვია. სიმღერა «Beşik nəğməsi» („იავნანა“) დაწერილია ძილისპირული სიმღერების საფუძველზე, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია უძველესი წარსულიდან თაობიდან თაობებზე გადმოცემის გზით. სიმღერის მელოდიის საფუძველს წარმოადგენს აზერბაიჯანული კლასიკური მუღამის „სეგიახის“ ინტონაციები. ეს სიმღერა, ტაქტის ზომით 2/4, სრულდება სევდიანი ხმით, ნელ ტემპში. სიმღერის შესრულებისას თვალწინ ცოცხლდება დედის საყვარელი სახე.

**კითხვები**

1. ვინ დაწერა პირველი ოპერა აზერბაიჯანში და მთელ აღმოსავლეთში?
2. რომელი პოეტის ნაწარმოების საფუძველზე შეიქმნა ოპერა „ლეილი და მეჯნუნი“?
3. რომელმა მხატვარმა შექმნა პირველად ფიზულის პორტრეტი?

**დავალება:** მოამზადე ზეპირი პრეზენტაცია დედების მიერ შესრულებული იავნანების შესახებ.

თემა 21

# დედის სახე მუსიკასა და სახვით ხელოვნებაში



რაფაელ სანტი
„ფლორენციელი მადონა“

დედის სახე ყოველთვის იყო ლიტერატურის, მუსიკისა და ხელოვნების ერთ-ერთი წამყვანი თემა. როდესაც ადამიანი ამბობს „დედა-სამშობლო“, იგი ამით გამოხატავს თავისი სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულს, ხოლო სიტყვა „დედა-მიწა“ აღნიშნავს, როგორი ძვირფასია მშობლიური მიწა, მშობლიური მხარე.

გამოდის, სიყვარულის კრიტერიუმი განისაზღვრება დედისადმი სიყვარულით . ჩვენს ძველ წერილობით ძეგლში „ქითაბი-დედე გორგუდი“ასევე მთავარი ადგილი უჭირავს დედისადმი სიყვარულს, მაღალ მოწიწებას ქალისადმი. დასთანში დედის სახე განსახიერებულია, როგორც სამშობლოს სიმბოლო, ხოლო დედური სამართალი ფასდება, როგორც ღვთაებრივი სამართალი. ცნობილი მხატვარი რაფაელ სანტიც თავის შემოქმედებაში დედის სახეს მიმართავს. ამის დასტურია მხატვრის ქმნილება „ფლორენციელი მადონა“. ყველასთვის საყვარელ ერთ-ერთ სიმღერას დედაზე წარმოადგენს ჩვენი კომპოზიტორის ჯაჰანგირ ჯაჰანგიროვის სიმღერა პოეტ ისლამ საფარლის ტექსტზე «Əziz ana» („ძვირფასი დედა“). ამ სიმღერის პირველი შემსრულებელი იყო მსოფლიოში ცნობილი მომღერალი, სახალხო არტისტი რაშიდ ბეიბუთოვი.



ჯაჰანგირ
ჯაჰანგიროვი

**მოვუსმინოთ მუსიკას და ვიმღეროთ ნოტების მიხედვით**

## ƏZİZ ANA (ძვირფასი დედა)

*მუსიკა ჯაჰანგირ ჯაჰანგიროვისა*
*სიტყვები ისლამ საფარლისა*




მოსმენილ და ჩვენ მიერ ნოტებზე შესრულებულ სიმღერას «Əziz ana» („ძვირფასი დედა“) განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კომპოზიტორის შემოქმედებაში. ყოველი ადამიანი, რომელიც ამ სიმღერას ისმენს, ფიქრდება თავის დედაზე, გონებაში აღადგენს გულისხმიერი და მზრუნველი დედის საყვარელ ხატებას.

### ეს უნდა იცოდეთ

**გამოჩენილი აზერბაიჯანელი კომპოზიტორი, სახალხო არტისტი ჯაჰანგირ ჯაჰანგიროვი არის ვოკალურ-სიმფონიური პოემის ავტორი გუნდისა და სიმფონიური ორკესტრისათვის „არაქსის იქეთა მხარეს“, კანტატების „სიმღერა მეგობრობაზე“, ფიზული“ და „ნასიმი“, ორატორიების „საბირი“, „“ჰუსეინ ჯავიდ-59“', „დიდი გამარჯვება“, ოპერების „აზადი“, „მომღერლის ბედი“. ჯაჰანგირ ჯაჰანგიროვმა ასევე დაწერა მუსიკა კინოფილმებისათვის „ქედმოუხრელი ბატალიონი“, „მშფოთვარე მტკვარი“ და სხვ.**

ცნობილი აზერბაიჯანელი მხატვრის მიქაილ აბდულაევის სურათში „სიხარული“ დედა შვილით ხელში ბუნების წიაღშია გამოსახული. ეს სურათი წარმოადგენს მხატვრულ გარდასახვას დედის საყვარელი სახისას, რომელიც მოცემულია ჯ. ჯაჰანგიროვის სიმღერაში «Əziz ana» („ძვირფასი დედა“).

სახალხო არტისტები თოღრულ ნარიმანბეკოვი და ბეიუკაგა მირზაზადე თავიანთ შემოქმედებაში ასევე მიმართავენ დედის სახეს.



*მიქაილ აბდულაევი „სიხარული“*

*შევისწავლოთ სიმღერა*

## ANAM (ჩემი დედა)

*მუსიკა ოქტაი რაჯაბოვისა*
*სიტყვები გაშამ ისაბეილისა*

I

Anam təzə don geyib,
Hörüb saçını təzə,
Ay ata, bax anama,
Gör nə yaraşır bəzək?!

**მისამღერი:**
Al, bu da gözmuncuğu,
Ay mehriban, ay əziz!
Yoxsa, sənə göz dəyər,
Neyləyərik onda biz?!

II

Aralı dur, ay kişi,
Saçına əl vurma, gəl!
Qoy bir öpüm-oxşayım
Özüm hamıdan əvvəl.

**მისამღერი:**

სიმღერა «Anam» საცეკვაო ხასიათისაა, ტაქტის ზომით 6/8. საცეკვაო ხასიათის სიმღერებს უწოდებენ „სიმღერა-ცეკვას“. ეს სიმღერა ნამდვილი საჩუქარი იქნება დედის დღეობაზე.

### კითხვები

1. ვინ არიან ავტორები სიმღერისა «Əziz ana» („ძვირფასი დედა“)?
2. ჯაჰანგირ ჯაჰანგიროვის რომელ მუსიკალურ ნაწარმოებებს იცნობთ?
3. რომელ ევროპელ და აზერბაიჯანელ მხატვრებს იცნობთ, რომლებმაც დედის თემაზე შექმნეს სურათები?

**დავალება:** **მოამზადე დედისათვის საჩუქრად ღია ბარათი.**

თემა 22

# ნოვრუზის დღესასწაული მუსიკასა და სახვით ხელოვნებაში



აზიმ აზიმზადე
„გადახტომა ცეცხლზე“



აზიმ აზიმზადე
„კეს-კესა“



არიფ ჰუსეინოვი
„გაზაფხული“

ნოვრუზი, რომელიც საუკუნეების სიღრმიდან ჩვენამდე მოღწეულ წესჩვეულებებს და ტრადიციებს ინახავს, წარმოადგენს ადამიანთა შორის ერთობისა და თანხმობის, მშვიდობისა და სიკეთის, ყურადღებისა და გულისხმიერების დღესასწაულს. ეს დღესასწაული განასახიერებს სულიერ ამაღლებას, ადამიანების, მშობლიური მიწის სიყვარულს, სიუხვესა და შეძლებულობას. ხალხური ჩვეულების მიხედვით, ნოვრუზის სადღესასწაულო სუფრა სავსე უნდა იყოს ყოველგვარი სიკეთით, ხორაგით; გოგონები, პატარძლები ახალი ტანსაცმლით, ფეხსაცმლით იმოსებიან. სახლებში სართავ ჯარებს, საქსოვ დაზგებსაყენებენ, სადღესასწაულო ხალიჩებს ქსოვენ.

სადღესასწაულო სუფრისათვის მზადებას ბოლო ხუთშაბათიდან იწყებენ. დიასახლისები ტკბილეულობას აცხობენ, ხონჩებს აგროვებენ. ხონჩაში აწყობენ შეკერბურს, ფახლავას, ნაზუქს, ნოგულს, ნაბატს, ნუშს, ჩირს, შეღებილ კვერცხს. ხონჩის გარშემო განალაგებენ და ანთებენ სანთლებს ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით. ზოგჯერ ბოლო ხუთშაბათის ღამეს უწოდებენ «yeddilərin gecəsi» „შვიდეულის ღამეს“, ვინაიდან ამ ღამით მაგიდაზე უნდა დაალაგონ შვიდი სახის ყოველგვარი ნუგბარი.

აზერბაიჯანში ჯერ კიდევ ძველ დროს ნოვრუზ ბაირამის მოახლოებისას ადამიანები თამაშობდნენ ისეთ ეროვნულ თამაშობებს, როგორიცაა „საიაჩი“, „იელ ბაბა“, „კეს-კესა“, „გარაველი“ და სხვ. აზერბაიჯანის მთელ რიგ რაიონებში ნოვრუზ ბაირამის დროს ტარდება ცერემონია „ხანბეზემე“ („ხანის მოკაზმვა“). ირჩევენ „ხანს“ და თავზე გვირგვინს ადგამენ.

მოედნის ამაღლებულ ნაწილში მაღალ ტახტს დგამენ და მასზე „ხანს“ სვამენ. ირგვლივ მყოფები „ხანს“ ემსახურებიან, მოაქვთ მისთვის ხონჩა, ასრულებენ ეროვნულ ცეკვებს „ონ დორდს“, „მირზაის“, „უზუნდერეს“, „ნოვრუზუს“ და სხვ. ნოვრუზ ბაირამი ერთ-ერთი საყვარელი თემაა სახვით ხელოვნებაში. ნოვრუზის თემას ეძღვნება აზიმ აზიმზადეს სურათები „გადახტომა ცეცხლზე“ და „კეს-კესა“, აგრეთვე არიფ ჰუსეინოვის „გაზაფხული“.

*ვმღერით ნოტების მიხედვით, ტაშის თანხლებით*

## უზუნდერე

(აზერბაიჯანული ხალხური ცეკვა)




*შევასრულოთ სიმღერა*

## NOVRUZ GƏLDİ (ნოვრუზი მოვიდა)

*მუსიკა ოქტაი რაჯაბოვისა*
*სიტყვები სევინჯ ნურუგიზისა*

I

Novruz gəldi bu gecə,
Azərbaycan elinə.
Qucaq açdıq oduna,
Alovuna, yelinə.
Bişdi şəkərburalar,
Yumurtalar boyandı.
Yer, göy, çəmən, çöl, dərə,
Bütün aləm oyandı.

მისამღერი:
Nənələr dəmə qoydu,
Yenə bayram aşını.
Zəfəranla, kişmişlə,
Bəzədilər başını.

II

Kosayla Keçəl gəlib,
İstədi bayram payı.
Papaq atdıq evlərə,
Olduq Kosanın tayı.

Bayram tonqallarının,
Alovu qalxdı göyə.
Tullandıq tonqallardan,
Nəğmələr deyə-deyə.
მისამღერი:




*ეს სიმღერა ხალისიანი, მხიარული ხასიათისაა, ჟღერს ტაქტის ზომით 6/8*

**კითხვები**

1. რა შეგიძლიათ მოგვითხროთ ნოვრუზის დღესასწაულის შესახებ?
2. რომელ ცეკვებს ასრულებენ ნოვრუზ ბაირამზე?
3. რომელი სიმღერები იცით, რომელიც ნოვრუზს ეძღვნება?
4. რა სახელწოდებები აქვთ აზიმ აზიმზადეს სურათებს, რომელიც ნოვრუზს ეძღვნება?

დავალება: იმღერეთ ერთ-ერთი საწესჩვეულებო სიმღერა, რომელიც ნოვრუზ ბაირამის დროს სრულდება და აჰყევით მის რიტმს ტაშით.

თემა 23

# განვლილი თემების განმეორება



ტაირ სალახოვი



„შემკეთებლები“



ყარა ყარაევის პორტრეტი



„ახალი ზღვა“



თოღრულ ნარიმანბეკოვი



„დღესასწაული სოფელ ბუზოვნაში“



„ქორწილი ბაქოში“



პაბლო პიკასო



„მშვიდობის მტრედი“



სცენა ოპერიდან „ლეილი და მეჯნუნი“



მუჰამედ ფიზული



აზიმ აზიმზადე. „კეს-კესა“



ქალაქი ბაქო. ნოვრუზის დღესასწაული



არიფ ჰუსეინოვი „გაზაფხული“

# სახვითი ხელოვნება, კინო და მუსიკა



თემა 24

## ქარავანის სახე სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში

  

**მოვუსმინოთ მუსიკას:** ნაწყვეტი სოლთან ჰაჯიბეკოვის სიმფონიური სურათიდან „ქარავანი“



სოლთან ჰაჯიბეკოვი

ამ მუსიკის მოსმენისას თვალწინ გიცოცხლდებათ უსაზღვრო, უსასრულო უდაბნოს სურათი. თითქოს სადღაც შორიდან აღწევს აქლემების ქარავანის თანაბარი ნაბიჯების ხმა. რაც უფრო გიახლოვდებათ ქარავანი, მით უფრო კარგად გესმით ეს ხმა, ხოლო ქარავანის დაშორებისას თანდათან წყდება. ქარავანი თანდათან შორდება მხედველობის არეს, და მასთან ერთად მინავლდება მუსიკის ბგერებიც.

ტაშით გამოვხატოთ ქარავანის მოძრაობის რიტმი:




როგორც სქემიდან ჩანს, ბგერები მაღლდება 2 პიანოს დინამიური ჟღერადობიდან 4 ფორტეს ძლიერებამდე. ქარავანის დაშორებისას ბგერები თანდათან დაბლდება 4 ფორტედან 3 პიანომდე. ქარავანი უკვე „აღარ ჩანს“.

გამოჩენილი აზერბაიჯანელი კომპოზიტორის, სახალხო არტისტის სოლთან ჰაჯიბეკოვის სიმფონიურ სურათში „ქარავანი“ ამ რიტმულ სტრუქტურას ტაქტის ზომით 4, ვხედავთ ნაწარმოების მთელ მანძილზე. მსმენელი ნაწარმოების დასაწყისიდან დასასრულამდე ამ რიტმის ზეგავლენის ქვეშაა.

1940-იანი წლების შუა ხანებში კომპოზიტორმა სოლთან ჰაჯიბეკოვმა თურქმენეთის ოპერისა და ბალეტის თეატრისაგან მიიღო დაკვეთა ოპერაზე „კემინე და ყაზი“. ამ ოპერისათვის დაწერილ მუსიკალურ ფრაგმენტებს შორის იყო საორკესტრო სურათიც , რომელიც ასახავდა შუა აზიის უდაბნოს. 1945 წელს სოლთან ჰაჯიბეკოვმა მის საფუძველზე შექმნა სიმფონიური სურათი „ქარავანი“. 1952 წელს მან ხელახლა გადაამუშავა იგი. 1955 წელს ნაწარმოების უკანასკნელი ვარიანტი ნიზამის დირიჟორობით შესრულდა და ჩაიწერა.

X1X საუკუნის რუსულ მუსიკაში უდაბნოში მიმავალი აქლემების ქარავანის თემას შეეხო ცნობილი რუსი კომპოზიტორი ალექსანდრ ბოროდინი.



ალექსანდრე
ბოროდინი

თავის პროგრამულ სიმფონიურ ნაწარმოებში „შუა აზია“ მან მუსიკალური საშუალებებით დიდი ოსტატობით წარმოსახა უდაბნოში თაკარა მზის ქვეშ თანაბარი ნაბიჯებით მიმავალი აქლემების ქარავანი.

*მოვუსმინოთ მუსიკას და შევადაროთ*

### ნაწყვეტი ა. პ. ბოროდინის სიმფონიური ნაწარმოებიდან „შუა აზიაში“

*შევისწავლოთ სიმღერა*

## ÜRƏK DOYMAZ BAKIDAN
### (სული ხარობს ბაქოს ცქერით)

*მუსიკა შაფიგ ახუნდოვისა*
*სიტყვები ისქენდერ ჯოშგუნისა*

I
Sularından dönə-dönə içəsən,
Yollarından səhər-axşam keçəsən.
Seyr edəsən onu gündüz, gecə sən,
Göz doysa da, doymaz ürək Bakıdan.

**მისამღერი:**
Dünya sənə heyran, can Vətənim, can,
Sən nə bəxtəvərsən, Azərbaycan!
Bakı tək şən, bəxtiyar,
Ömrü bahar övladın var,
Göz doysa da, doymaz ürək Bakıdan.



II
Bağlarında qara şanı, ağ şanı,
Qızıl qumun min bir şəfa dərmanı.
Günəş odda qovuranda aranı,
Əskik olmaz sərin külək Bakıdan.
**მისამღერი:**

**კითხვები**

1. ვინ არის ავტორი სიმფონიური სურათისა „ქარავანი“?
2. რომელი რუსი კომპოზიტორი შეეხო „ქარავანის“ თემას და როდის? დაასახელეთ ნაწარმოები.
3. რა არის თქვენთვის ცნობილი რუსი კომპოზიტორის ა. ბოროდინის შესახებ?
4. ვინ არიან ავტორები სიმღერისა «Ürək doymaz Bakıdan» („სული ხარობს ბაქოს ცქერით“)?

**დავალება:** ტაშით გაახმოვანე უდაბნოში მიმავალი აქლემების ქარავანის ნაბიჯების ხმა.

# ჰეროიზმის თემა კინოსა და მუსიკაში

*მოვუსმინოთ მუსიკას*

## უზეირ ჰაჯიბეილის ოპერის „ქოროღლის“ უვერტიურა



**ფრაგმენტი ფილმიდან „ქოროღლი“**

გენიალური კომპოზიტორის უზეირ ჰაჯიბეილის ოპერაში „ქოროღლი“ ასახულია სახალხო გმირის, ქოროღლის ბრძოლა ხანებისა და ფაშების წინააღმდეგ. ქოროღლის გამოსახულების დანახვისას ყოველთვის გვახსენდება ოპერა „ქოროღლის“ „უვერტიურა“.

სიტყვა „უვერტიურა“ ფრანგული წარმოშობისაა და ნიშნავს „გახსნას“, „დაწყებას“. ეს „უვერტიურა“, როგორც ჩვენი ჰიმნი, არის სიმბოლო აზერბაიჯანელი ხალხის ჰეროიზმისა. ყველაზე მძიმე განსაცდელისას და მხიარულ, ნათელ დღეებშიც ეს ნაწარმოები ჩვენში აღძრავს გმირობის სურვილს, მოგვიწოდებს გმირული საქმეებისაკენ, ბრძოლისაკენ. ფილმ „ქოროღლის“ ყურებისას მამაცი სახალხო გმირის სახე, მისი ბრძოლა უბრალო ხალხის მჩაგვრელთა წინააღმდეგ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ და აღვიქვათ ოპერა „ქოროღლის“ საბრძოლო სულისკვეთების გარეშე. აზერბაიჯანულ ხალხურ მუსიკაში ერთ-ერთი სიმღერა, რომელიც ეძღვნება ჩვენს გმირებს, მათ გმირულ გზას, მათ ბრძოლას დამპყრობელთა წინააღმდეგ, არის ცნობილი სიმღერა „ყაჩაღი ნაბი“.

*ვიმღეროთ ნოტების მიხედვით*

## ყაჩაღი ნაბი

*საშუალო ტემპით* (აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა)





ფრაგმენტი ფილმიდან
„ყაჩაღი ნაბი“

XIX საუკუნის ბოლოს აზერბაიჯანში იქმნებოდა გლეხების შეიარაღებული რაზმები მეფისნაცვლების, ხალხის მჩაგვრელების წინააღმდეგ. ერთ-ერთ ასეთ რაზმს სათავეში ედგა სახალხო გმირი ყაჩაღი ნაბი. მისი ცოლი, მამაცი ხაჯარი, რომლის სახელი უკვდავყოფილია სიმღერებსა და დასთანებში, ყაჩაღი ნაბის მხარდამხარ იბრძოდა. 1985 წელს კინოსტუდია „აზერბაიჯანფილმის“ მიერ გადაღებულ ფილმში „ყაჩაღი ნაბი“ მოთხრობილია სახალხო გმირის სასწაულებრივი სიმამაცის შესახებ.

**ეს უნდა იცოდეთ**

ფილმი „ყაჩაღი ნაბი“ ცნობილია მეორე სახელითაც – „შეკაზმეთ ცხენები“.

XX საუკუნეში აზერბაიჯანელმა ხალხმა მსოფლიოს უძღვნა ისეთი გმირები, როგორიცაა აზი ასლანოვი, მეჰდი ჰუსეინზადე და სხვ.

## შევისწავლოთ სიმღერა

### უკვდავი სარდალი

*მუსიკა სულეიმან ალესკეროვისა*
*სიტყვები ჯავად ჯავადლისა*

მტერს უნდოდა, დამარცხება გვრგებოდა,
დამონებას ჩვენსას ესწრაფებოდა, | *2-ჯერ*
რა იცოდა, შენ რომ შეგეყრებოდა,
აზი, ჩვენო უშიშარო სარდალო, | *2-ჯერ*
შენ ჩვენთან ხარ სამუდამოდ, სარდალო!



აზი ასლანოვი

შენ მეგობრებს ბრძოლის ცეცხლში უძღოდი,
მტერი ვერას დაგვაკლებდა, უწყოდი, | *2-ჯერ*
გავიმარჯვეთ, მოვსპეთ ჯარი უცხოთა,
აზი, ჩვენო უშიშარო სარდალო, | *2-ჯერ*
ჩვენს გულში ხარ სამუდამოდ, სარდალო!



ფრაგმენტი ფილმიდან
„აზი ასლანოვი“

**კითხვები**

1. რას ნიშნავს სიტყვა „უვერტიურა“?
2. ვინ არის ავტორი თქვენ მიერ მოსმენილი „უვერტიურისა“ და რომელ ოპერას ეკუთვნის იგი?
3. ვინ არიან ავტორები სიმღერისა „უკვდავი სარდალი“?

**დავალება:** მოამზადე პრეზენტაცია თემაზე „აზერბაიჯანის ეროვნული გმირები ლიტერატურაში, სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში“.

თემა 26

## დონ კიხოტის სახე სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში



*პაბლო პიკასო*
*„დონ კიხოტი“*

სახელგანთქმულმა ესპანელმა მხატვარმა პაბლო პიკასომ გრავირების მეთოდით დახატა დონ კიხოტი – სერვანტესის რომანის „დონ კიხოტის“ მთავარი გმირი. რომანის ავტორი იყენებს პაროდიულ და სატირულ სტილს და მძაფრად აკრიტიკებს ესპანეთში არსებულ ფეოდალურ წყობილებას.

**ეს უნდა იცოდეთ**

გრავიურა – არის რაიმე მაგარი მასალის გლუვ ზედაპირზე ამოკვეთილი ან ამოჭმული ნახატის ანაბეჭდი ქაღალდზე. ცნობილი აზერბაიჯანელი მხატვრები მარალ რახმანზადემ და ელბეკ რზაგულიევმა შექმნეს თავიანთი სურათები „ხინალიგი“ და „იჩერი შეხერი“ გრავირების მეთოდით.

კინორეჟისორმა კოზინცევმა „დონ კიხოტის“ გამოცემის 350 წლისთავთან დაკავშირებით გადაიღო ამავე სახელწოდების ფილმი. ამ ფილმისათვის მუსიკა დაწერა გამოჩენილმა აზერბაიჯანელმა კომპოზიტორმა ყარა ყარაევმა.



მოგვიანებით ყარა ყარაევმა ფილმ „დონ კიხოტისთვის“ დაწერილი მუსიკის საფუძველზე შექმნა სიმფონიური გრავიურები „დონ კიხოტი“. ასე რომ, ყარა ყარაევმა ტერმინი „გრავიურა“ შემოიტანა მუსიკაში, როგორც ჟანრი. კომპოზიტორის ეს ცნობილი ნაწარმოები მთელ მსოფლიოში უყვართ. როდესაც პ. პიკასოს გრავიურა „დონ კიხოტს“ ვუყურებთ, გვახსენდება ყარა ყარაევის ამავე სახელწოდების სიმფონიური გრავიურები.

*მოვისმინოთ მუსიკა და ვიმღეროთ ნოტების მიხედვით*

### „მოგზაურობა“ ყარა ყარაევის ნაწარმოებიდან „დონ კიხოტის გრავიურები“



**მოვუსმინოთ მუსიკას:** ნაწილი „ალდონსა“ ყარა ყარაევის ნაწარმოებიდან „დონ კიხოტის გრავიურები“

ამ მუსიკაში სინაზის, სიყვარულის გრძნობა განხორციელებულია ალდონსას სახეში.

**შევისწავლოთ სიმღერა**

## VƏTƏN HAQQINDA MAHNI (სიმღერა სამშობლოზე)

*მუსიკა ნიაზისა*
*სიტყვები სულეიმან რუსტამისა*

I

Əcəb ağ gündədir mənim Vətənim,
Günlər keçir bayram kimi, el gülür.
Rəngdən-rəngə girir çölüm, çəmənim,
Aşığın sazında gülür, tel gülür.

**მისამღერი:**
Gülür bağlar, uca dağlar,
Əcəb gözəldir bu şən çağlar.

II

Tütək çalır, deyir dağda çobanlar:
«Bizi azad edən dahi sağ olsun.
Eşidilməz artıq ahlar, fəğanlar,
Dostlar gülsün, yadlar saralıb-solsun».
**მისამღერი:**



*ნიაზი*



*სულეიმან რუსტამი*

ხალისიანი, მუღამ „ბაიათი-შირაზზე“ დაფუძნებული სიმღერა «Vətən haqqında mahnı» („სიმღერა სამშობლოზე) ჟღერს საშუალო ტემპში, ტაქტის ზომა 6/8.

ამ სიმღერაში, რომელიც ეძღვნება პატრიოტიზმის თემას, მშობლიური მხარის ბუნება თითქოს მხატვრის ფუნჯითაა დახატული. ეს სიმღერა მშვენიერი ნიმუშია მუსიკის, პოეზიისა და სახვითი ხელოვნების ერთიანობისა.

**კითხვები**

1. ვინ არის „დონ კიხოტის“ ავტორი?
2. ვინ დაწერა მუსიკა მხატვრული ფილმისათვის „დონ კიხოტი“?
3. რომელი კომპოზიტორია სიმფონიური გრავიურების „დონ კიხოტის“ ავტორი?
4. ვინ არიან ავტორები სიმღერისა «Vətən haqqında mahnı» („სიმღერა სამშობლოზე“)?

**დავალება:** მოამზადე ზეპირი პრეზენტაცია ყარა ყარაევის შენთვის ცნობილი ნაწარმოებების შესახებ.

თემა 27

## ბუნების სურათები სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში

ნიკოლოზ რიმსკი-კორსკოვი ამბობდა: „მშვენიერ ფერწერულ სურათში მე ყოველთვის ვხედავ და აღვიქვამ კარგ მუსიკას“.

მართლაც, აზერბაიჯანის სახალხო მხატვრის სათარ ბახლულზადეს ყოველ სურათში თითქოს მუსიკა ჟღერს.



*სათარ ბახლულზადე. „საგაზაფხულო სიმღერა“*



*„გაზაფხულის მოტივი“*



*სათარ ბახლულზადე*

გამოჩენილმა აზერბაიჯანელმა მხატვარმა სათარ ბახლულზადემ მხატვრული გამომსახველობის გასაოცარი საშუალებებით თავის ტილოებზე გარდასახა მშვენიერი, ზოგჯერ ბევრისთვის ჩვეულებრივი, აზერბაიჯანის კუთხეების ჯადოსნური ბუნება. მშობლიური მიწის უსაზღვრო სიყვარული დაეხმარა მხატვარს, ეგრძნო მთელი მისი სილამაზე და ფერების ენით უკვდავეყო. მხატვრის ტილოები „კაპაზის ცრემლები“, „გზა მთაში“, „კასპიის ლამაზმანი“, „გულისტანი“, „გამოღვიძება“, „საგაზაფხულო სიმღერა“, „გაზაფხულის მოტივი“ და სხვ. სულში გვწვდება, როგორც მგრძნობიარე სიმღერა. აი, ამიტომ უწოდებენ სათარ ბახლულზადეს „აზერბაიჯანული ბუნების დახვეწილ მომღერალს“.

მოვუსმინოთ მუსიკას: ნაწყვეტი ფიქრათ ამიროვის სიმფონიური მუღამიდან „შური“.

დიდი აზერბაიჯანელი კომპოზიტორის ფიქრათ ამიროვის სიმფონიურ მუღამში „შური“ ავტორი მუსიკის ენით გამოსახავს იდუმალებით აღსავსე ბუნების სურათებს. კომპოზიტორის სიმფონიურ მუღამში „კურდ ოვშარი“ ასევე გამოყენებულია მდიდარი მუსიკალური გამომსახველობითი საშუალებანი.

### ვიმღეროთ ნოტების მიხედვით

## რენგი „სიმაი-შამსი“ მუღამიდან „შური“




რენგი „სიმსაი-შამსი“ მუღამიდან „შური“ საზეიმო ხასიათისაა, ტაქტის ზომით 2/4. ეს მელოდია, რომელიც ტონალობა სოლ-მინორში ჟღერს, სრულდება თარის, ქამანჩისა და დაირის თანხლებით.

**ეს უნდა იცოდეთ**

რენგი – საცეკვაო ხასიათის მუსიკალური ნაწყვეტი, რომელიც სრულდება მუღამის ნაწილებს შორის იმ მიზნით, რომ მომღერალს სულის მოთქმის საშუალება მიეცეს.

### *შევისწავლოთ სიმღერა*

## BƏNÖVŞƏ (ია)

*მუსიკა სოლთან ჰაჯიბეკოვისა*
*სიტყვები მირმეჰდი სეიდზადესი*

Yazda açırsan,
Ətir saçırsan.
Yerin – bağ, meşə,
Gözəl bənövşə.

Bağa girəndə,
Bağban dərəndə.
Qonursan döşə,
Gözəl bənövşə.

მისამღერი:
Zərif ətrin var,
Sənin, bənövşə.
Sevir uşaqlar,
Səni həmişə.



**კითხვები**

1.რას ამბობს ნ. რიმსკი-კორსაკოვი სახვითი ხელოვნებისა და მუსიკის შესახებ?
2. რა იცით სათარ ბახლულზადეს შესახებ?
3. ფიქრათ ამიროვის რომელი სიმფონიური მუღამი იცით?
4. ვინ არიან ავტორები სიმღერისა «Bənövşə» („ია“)?

დავალება: მოამზადე ზეპირი პრეზენტაცია ფიქრათ ამიროვის შენთვის ცნობილი ნაწარმოებების შესახებ

თემა 28

# ნავთობის ქვების სახე სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში

**ნავთობის ქვები** – ესაა პირველი ქალაქი და ნავთობის პლატფორმა მსოფლიოში, რომელიც ზღვაზეა აშენებული. ეს საკვირველი ქალაქი ფოლადის ესტაკადებზეა აღმართული ზღვის ზედაპირიდან რამდენიმე მეტრით მაღლა. ეს ზღაპრული ქალაქი მთელ მსოფლიოშია ცნობილი. შავი ოქრო, რომელიც ამ ქალაქში მცხოვრები გაბედული მენავთობეების შრომით არის მოპოვებული, დიდ როლს თამაშობს აზერბაიჯანის ნავთობის მრეწველობის განვითარებაში. ამიტომაცაა, რომ „ნავთობის ქვები“ წარმოადგენს საყვარელ თემას აზერბაჯანელი მხატვრების შემოქმედებაში. ტაირ სალახოვის სურათები „შემკეთებლები“, თოღრულ ნარიმანბეკოვის „კასპია“ მიძღვნილია ამ თემისადმი. სურათზე „შემკეთებლები“ გამოსახულია, თუ როგორ მიდიან შემკეთებლები ნავთობის კოშკების გასარემონტებლად, ხოლო სურათზე „კასპია“ გამოხატულია „ნავთობის ქვები“, რომელიც არ უშინდება გამძვინვარებულ ტალღებს. ორივე მხატვარმა დიდი ოსტატობით ასახეს კასპია და ზღვის მშრომელები. სურათები ყალყზე შემდგარი ზღვისა და სახეები მამაცი მენავთობეებისა, რომლებიც ღირსეულად უმკლავდებიან ცხოვრების სიძნელეებს და ნავთობის ქვებზე მუშაობას, რომელსაც ხმელეთთან არაფერი აკავშირებს, ყოველთვის იყო არა მხოლოდ სახვითი ხელოვნების, არამედ მუსიკის ყურადღების ცენტრში.

*მოვუსმინოთ მუსიკას*

## NEFTÇİ QURBAN (მენავთობე გურბანი)

*მუსიკა აღაბაჯი რზაევასი,*
*სიტყვები ჰუსეინ არიფისა*



*კამილ ნაჯაფზადე*
*„ნავთობის ქვებზე“*

ამ სიმღერას, რომელიც მენავთობე გურბანს ეძღვნება, ასრულებდნენ გამოჩენილი მომღერლები – ბულბული, რაშიდ ბეიბუთოვი, გიულაგი მამედოვი, ანატოლი განიევი და სხვ. როდესაც ვუცქერით ტაირ სალახოვის სურათს „დილა კასპიაზე“, რომელზეც გამოსახულია ნავთობის ქვები, თოღრულ ნარიმანბეკოვის „კასპიას“, კამილ ნაჯაფზადეს „ნავთობის ქვებზე“-ს, თვალწინ გვიცოცხლდება სახეები მენავთობე გურბანისა და ბევრი სხვა მასავით შემართული ზღვის მშრომელებისა, ასევე გვახსენდება აღაბაჯი რზაევის სიმღერის „მენავთობე გურბანის“ მელოდიები.

## ნაწყვეტი თოფიკ ყულიევის სიმღერიდან „მეგობრობა“




## მეგობრობა

*მუსიკა თოფიკ ყულიევისა*
*სიტყვები ანვერ ალიბეილისა*

I
ნავთობს ყოველდღე წყლისქვეშ დავეძებთ,
და მეგობრობაც ერთურთს შევფიცეთ,
ჩვენ მეგობრობა ურყევი ვიცით,
ეს არის ჩვენი წმინდა დევიზი!

**მისამღერი:**
შენთვის უძვირფასესი
გულის სითბო გაეცი,
რასაც გასცემ - შენია,
შენ სიკეთე გჩვევია.

II
ჩვენ ვცხოვრობთ ტკბილად - რა გვინდა მეტი?
მაგრამ თუ ვინმეს დაჩაგრავს ბედი,
რას შეძლებს მარტო? დარდი დადაღავს,
მაგრამ დავდგებით მასთან მხარდამხარ!
**მისამღერი:**

III
დე, დაუფასდეს მარადის ღვაწლი,
მეგობრობაა ვისთვისაც განძი.
სამარადჟამოდ დაუფასდება,
ვინც მეგობრობის სიბრძნით სავსეა.
**მისამღერი:**



*თოფიკ ყულიევი*



*ანვერ ალიბეილი*



*ვოკალური კვარტეტი „გაია“*

თოფიკ ყულიევის სიმღერა „მეგობრობა“ დაწერილია ფილმისათვის „ბახტიარი“, რომელიც გადაღებულ იქნა გასული საუკუნის 60-იან წლებში. ფილმში ასახულია სახელოვანი კასპიელი მენავთობეების სახეები.

**კითხვები**

1. რატომ უწოდებენ ნავთობის ქვებს სასწაულთა ქალაქს?
2. რომელმა მხატვარმა შექმნა სურათი ნავთობის ქვების თემაზე?
3. ვინ დაწერა მუსიკა ფილმისათვის „ბახტიარი“?

**დავალება:** მოამზადე ზეპირი პრეზენტაცია შენთვის ცნობილ მუსიკალურ ნაწარმოებებსა და ფერწერულ სურათებზე, რომლებიც ეძღვნება აზერბაიჯანელ მენავთობეებს.

თემა 29

# დიდი ბელადის ჰეიდარ ალიევის სახე სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში



*ომარ ელდაროვი საერთო ეროვნული ლიდერის ჰეიდარ ალიევის ბიუსტზე მუშაობისას*



*ნიკას საფრონოვი ჰეიდარ ალიევის პორტრეტი*

არიან ადამიანები, რომლებმაც მთელი თავისი სიცოცხლე ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლას მიუძღვნეს. აზერბაიჯანელი ხალხი უაღრესად დიდ პატივს სცემს ასეთი ადამიანების ხსოვნას, უკვდავყოფს მათ ხელოვნების, ლიტერატურის, მუსიკის ნაწარმოებებით. ერთ-ერთი ასეთი პიროვნებაა დიდი ბელადი ჰეიდარ ალირზა ოღლი ალიევი. ჰეიდარ ალიევი მრავალი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა აზერბაიჯანს და მთელი თავისი ენერგია მოახმარა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, რესპუბლიკის ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების, განათლების და ა. შ. განვითარებას. საერთო ეროვნული ლიდერის სახე აისახა სახვითი ხელოვნების მრავალ ნიმუშში. რუსი მხატვრის ნიკას საფრონოვის მიერ შექმნილი პორტრეტი „ჰეიდარი“, ტაირ სალახოვის „ჰეიდარი“, რაფაელ აბასოვის „ჩაფიქრება“ და სხვ. ეძღვნება ჩვენს დიდ ბელადს.

ბაქოში დადგმული ძეგლი „ჰეიდარი“ და ნახიჭევანში დადგმული ბიუსტი „ჰეიდარი“, რომლებიც შესრულებულია აზერბაიჯანის სახალხო მხატვრის, მოქანდაკე ომარ ელდაროვის მიერ, წარმოადგენს ქანდაკების საუკეთესო ნიმუშებს, რომელიც დიდ ბელადს მიეძღვნა.

*მოვუსმინოთ მუსიკას და ვიმღეროთ ნოტების მიხედვით*

## II ნაწილი ორატორიისა „ჰეიდარი“

*მუსიკა ოქტაი რაჯაბოვისა*
*სიტყვები რაფაელ ჰუსეინოვისა*



ეს ხუთნაწილიანი ორატორია ეძღვნება დიდ ბელადს ჰეიდარ ალიევს. ორატორიაში ჰეიდარ ალიევის ნათელი პიროვნების სახის გახსნა მუსიკისა და პოეზიის შერწყმით ხდება.

ორატორიის მოსმენისას თვალწინ წარმოგიდგებათ როგორც თვით დიდი ბელადის სახე, ასევე მისი პორტრეტები, მეხსიერებაში ცოცხლდება ნათელი, ღრმააზროვანი, გამჭრიახი ბელადის სახე, მისი შინაარსიანი, მისაბაძი ცხოვრების გზა.

**ეს უნდა იცოდეთ**

**პირველი მონუმენტური სიმფონიური ნაწარმოები, რომელიც დიდ ბელადს ჰეიდარ ალიევს მიეძღვნა, არის სახალხო არტისტის არიფ მელიკოვის „VIII სიმფონია“.**

**შევისწავლოთ სიმღერა**

## ULU TORPAQ (დიადი მიწა)

*მუსიკა ელდარ მანსუროვისა*
*სიტყვები ნაბიდ გაჯიზადესი*

I

Günəşimiz saralıbdı,
Göylərimiz qaralıbdı.
Qarabağı sar alıbdı,
Dərd bürüyüb solu, sağı
Tanrı, qurtar bu sınağı!

მისამღერი:
Qalx, qalx ulu torpaq,
Qalx, qalx, ulu bayraq,
Qalx, qalx, sən, ey mərd xalq!

II

Ocaq sönmüş neçə yurdda,
Uca dağlar yanır odda,
Arxa Bakı, ellər darda,
Ürəyimiz göynər-göynər,
Bəsdir daha, dözdük yetər!

საზეიმო, დიდებული სიმღერა «Ulu torpaq» („დიადი მიწა“) ჟღერს გამა სოლ-მინორში, ტაქტის ზომა 4/4. სიმღერა დაწერილია მუღამ „ბაიათი-შირაზის“ საფუძველზე.

დიადი მიწა – ეს ჩვენი აზერბაიჯანის მიწაა.

მიწა დიადი ხდება ამ მიწის შვილთა გენიალური მოღვაწეობის, მათი ნათელი გონების წყალობით. ჩვენი დიდი ბელადი ჰეიდარ ალიევი პიროვნებაა, რომლითაც ამაყობს ჩვენი მშობლიური მიწა, სამშობლო.

**კითხვები**

1. რომელმა რუსმა მხატვარმა შექმნა ჩვენი დიდი ბელადის ჰეიდარ ალიევის პორტრეტი?
2. რომელმა აზერბაიჯანელმა მხატვრებმა შექმნეს ჰეიდარ ალიევის სახე?
3. ვინ არიან ავტორები ორატორიისა „ჰეიდარი“?
4. ვინ არიან ავტორები სიმღერისა «Ulu torpaq» („დიადი მიწა“)?

**დავალება: გვიამბე ყველაფერი, რაც იცი აზერბაიჯანის საერთო ეროვნულ ლიდერზე ჰეიდარ ალიევზე.**

თემა 30

## ინდოეთის თემა სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში





*თოღრულ ნარიმანბეკოვი „ინდური სურათები“* — *აღასელიმ ყულიევი „რაბინდრანათ თაგორი“* — *მიქაილ აბდულაევი „ინდოელი ლამაზმანი“*

აზერბაიჯანულ-ინდურმა კულტურულმა კავშირებმა განაპირობა ამ ქვეყნისათვის ქება-დიდების შესხმა ჩვენს ლიტერატურაში, სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში. გამოჩენილი აზერბაიჯანელი მხატვრის მიქაილ აბდულაევის ნახატების ციკლი „მეორე შეხვედრა ინდოეთთან“ შეიქმნა მისი მოგზაურობის შემდეგ ინდოეთში. მხატვარი ავტორია ასევე „ინდირა განდის პორტრეტისა“, რომელიც ეძღვნება ინდოეთის დიდ შვილს. 1970 წელს ნახატების ციკლისათვის, რომელიც მიქაილ აბდულაევმა შეასრულა, მას მიენიჭა ჯავაჰარლალ ნერუს სახელობის საერთაშორისო პრემია.

აზერბაიჯანის ფუნჯის ცნობილმა ოსტატებმა – თოღრულ ნარიმანბეკოვმა, ტაირ სალახოვმა, ელბეკ რზაყულიევმა ასევე მნიშვნელოვანი ნაწარმოებები შექმნეს ინდოეთის თემაზე.

მოქანდაკე აღასელიმ ყულიევმა თავის ქმნილებაში „რაბინდრანათ თაგორი“ გამოხატა სიძნელეებით აღსავსე ცხოვრება ინდოელი პოეტისა და დრამატურგის რაბინდრანათ თაგორისა.

**მოვისმინოთ მუსიკა: ნაწყვეტი სოლთან ჰაჯიბეკოვის მუსიკალური ციკლიდან „ინდური სურათები“.**



კომპოზიტორმა სოლთან ჰაჯიბეკოვმა თავის მუსიკალურ ციკლში „ინდური სურათები“ სიმებიანი კვარტეტისათვის ოსტატურად გამოიყენა ინდური ხალხური მუსიკა, რომელიც მან ინდოეთში მოგზაურობისას მოისმინა. კომპოზიტორის ნაწარმოები „სუიტა ინდურ თემაზე“ მან დაიწერა 1964 წელს. 1972 წელს ს.ჰაჯიბეკოვმა ამ სუიტის საფუძველზე შექმნა სიმფონიური ნაწარმოები „ინდური სურათები“.

## შევასრულოთ სიმღერა ნოტების მიხედვით და სიტყვებით

### მაისი

*მუსიკა რაშიდ შაფაგისა*
*სიტყვები რუფატ აჰმედზადესი*




I
რუ მოჩუხჩუხებს,
ყვავილობს ბაღი,
მაისი მოდის,
გული გვაქვს ლაღი.

II
ბედნიერება
ყველასთვის დგება.
შენით, მაისო,
გული ხალისობს.

III
დიბა-ატლასმა
მთები მოჰფინა,
ყველგან გაისმის
ბავშვთა ყიჟინა.

IV
მოდი, მაისო,
სულ მზით აგვავსე,
გაბრწყინდეს მეტად
სამშობლო-დედა!



ეს სიმღერა, რომელიც ჟღერს გამა ფა-მაჟორში და დაფუძნებულია მუღამი „რასტის“ ინტონაციებზე, დაწერილია ტაქტის ზომით 6/8. ე. ი. ყოველი ტაქტი შეიცავს 6 მერვედ ნოტს. სიმღერა სრულდება დიალოგის სახით სოლოსა და გუნდს შორის. სიმღერა უნდა შესრულდეს აუჩქარებლად, საშუალო ტემპში.

**კითხვები**

1. რომელმა აზერბაიჯანელმა მხატვრებმა შექმნეს ნახატები ინდოეთის თემაზე?
2. რომელმა აზერბაიჯანელმა კომპოზიტორებმა მიმართეს თავის ნაწარმოებებში ინდოეთის თემას?
3. ვინ არიან ავტორები სიმღერისა „მაისი“?

**დავალება:** შეასრულე ნაწყვეტები სხვა სიმღერებიდან, რომლებიც გაზაფხულის დადგომას ეძღვნება.

თემა 31-32

## განვლილი თემების განმეორება

გავიხსენოთ კომპოზიტორების, პოეტებისა და მხატვრების სახელები










გავიხსენოთ მუსიკალური კოლექტივების სახელწოდებები








დავალება: გაიმეორე განვლილი თემები და მოემზადე დასკვნითი კონცერტისათვის

# მუსიკალური ლექსიკონი

**ხალხური სიმღერები** – სიმღერები, რომლებიც შექმნეს სახალხო მუსიკოსებმა.

**აშუღური სიმღერები** – სიმღერები, რომლებიც შექმნეს აშუღებმა.

**ზომა 6/8** – ტაქტის ზომა, რომელიც შეადგენს ექვს მერვედ ნოტს.

**ვოკალიზი** – მელოდია, რომელიც ხმით, სიტყვების გარეშე სრულდება.

**უსიტყვო სიმღერა** – ნაწარმოები, რომელიც შექმნილია ერთი მუსიკალური ინსტრუმენტისათვის ან ორკესტრისათვის სიტყვების გამოყენების გარეშე.

**კანტატა** – ერთ ან მრავალნაწილიანი ვოკალურ-სიმფონიური ნაწარმოები საზეიმო, **ზღაპრულ**-ეპიკური ხასიათისა.

**ლიბრეტო** – მუსიკალური ნაწარმოების წერილობითი ტექსტი, მოკლე შინაარსი ოპერისა (ბალეტის, ოპერეტის).

**ბალეტი** – სცენისათვის დაწერილი მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ნაწარმოები, რომელიც წარმოადგენს მუსიკის, ცეკვის და დრამატული მოქმედების შერწყმას.

**საბალეტო ლიბრეტო** – ლიტერატურული ტექსტი, სადაც გადმოცემულია ბალეტის შინაარსი.

**ოპერეტა** – მუსიკალურ-სცენური ნაწარმოები კომედიური ხასიათისა, რომელიც შედგება ვოკალურ-საცეკვაო სცენებისა და სალაპარაკო ეპიზოდებისაგან.

**„არშინ მალ ალან“** – პირველი აზერბაიჯანული ოპერეტა, რომელიც შექმნა უ. ჰაჯიბეილიმ 1913 წელს.

**ინსტრუმენტული მუღამი** – მუღამი, რომელიც სრულდება ერთი მუსიკალური ინსტრუმენტით.

**ვოკალურ-ინსტრუმენტული მუღამი** – მუღამი, რომელიც სრულდება მომღერლის მიერ ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტების თანხლებით.

**რიტმული მუღამი** – ვოკალურ-ინსტრუმენტული მუღამი, რომელიც სრულდება რიტმის თანხლებით.

**არაზბარი** – აზერბაიჯანული რიტმული მუღამი.

**ღაზელი** – პროფესიული კლასიკური აღმოსავლური პოეზიის ყველაზე რთული სახეობა.

**რომანსი-ღაზელი** – რომანსის ახალი სახეობა, რომელიც შექმნა უ. ჰაჯიბეილიმ XX საუკუნის 40-იან წლებში.

**რომანსი** – მცირე ზომის ვოკალური ნაწარმოები, რომელიც სრულდება ფორტეპიანოს ან სხვა მუსიკალური ინსტრუმენტის აკომპანიმენტით.

**უნისონი** – ერთდროული ჟღერა ერთი სიმაღლის ორი ან მეტი ბგერისა ან სხვადასხვა ოქტავის ერთნაირი ბგერებისა.

**თარაქამა** – ძველი აზერბაიჯანული ხალხური ცეკვა, რომელიც ეკუთვნის მესაქონლეთა ტომს თარაქამას.

**ანსამბლი** – მუსიკალური კოლექტივი, რომელშიც მონაწილეობს რამდენიმე მუსიკოსი.

**ჯანგი** – აზერბაიჯანული ხალხური მეომრული ცეკვა.

**დესგიახი** – მუღამი და მისი შემადგენელი ნაწილები.

**სიმფონია** – ბერძნული სიტყვა, რომელიც აღნიშნავს სხვადასხვა ბგერების ჰარმონიულ შეწყობას. დიდი მუსიკალური ნაწარმოები ორკესტრისათვის, რომელიც შედგება მუსიკის ხასიათითა და ტემპით ერთმანეთისაგან განსხვავებული 3-4 ნაწილისაგან.

**ოპერა „ლეილი და მეჯნუნი“** – პირველი ოპერა აზერბაიჯანსა და აღმოსავლეთში, რომელიც შექმნა უზეირ ჰაჯიბეილიმ.

**უვერტიურა** – მუსიკა, რომელიც სრულდება მუსიკალური სცენური ნაწარმოების – ოპერის, ბალეტის და ა.შ. დასაწყისში

**ორატორია** – მრავალნაწილიანი მუსიკალური ნაწარმოები, დაწერილი სოლისტების, გუნდის და სიმფონიური ორკესტრისათვის.

**კუპლეტური წყობა** – სიმღერის წყობა, რომელიც შედგება კუპლეტებისა და მისამღერისაგან.

## სიმღერების ნოტები, რომელიც შესულია სახელმძღვანელოში

### გამარჯვებულთა სიმღერა

*მუსიკა განბარ ჰუსეინოვისა*
*სიტყვები ალექბერ ზიატაისა*




### ო, კასპია

*მუსიკა ნაზიმ ალივერდიბეკოვისა*
*სიტყვები ნაბი ხაზრისა*



## ნორჩი სპორტსმენების მარში

*მუსიკა მუსა მირზოევისა*
*სიტყვები ჰიქმეთ ზიასი*




## საზეიმო დღე

*მუსიკა უზეირ ჰაჯიბეილისა*
*სიტყვები ჰუსეინ ჰუსეინზადესი*



## აზერბაიჯანი

მუსიკა ფოლად ბულბულოღლისა
სიტყვები მასტან ალიევასი




## ყარაბაღი

მუსიკა ჯაჰანგირჯაჰანგიროვისა
სიტყვები რაფიგ ზეკასი



## სიმღერები

მუსიკა ოქტაი რაჯაბოვისა
სიტყვები ბახტიარ ვაგაბზადესი




## აზერბაიჯანი

(აზერბაიჯანული აშუღური სიმღერა)

ნოტებზე გადაიღო საიდ რუსტამოვმა
სიტყვები სამედ ვურღუნისა



## ჩემი სამშობლო

მუსიკა რამინ მირიშლისა
სიტყვები ფიქრათ კოჯასი




## ზამთრის სიმღერა

მუსიკა აფსარ ჯავანშიროვისა
სიტყვები თოფიკ მუთალიბოვისა



## სიყმაწვილის სიმღერა

*მუსიკა ყარა ყარაევისა*
*სიტყვები ევგენი დოლმატოვსკისა*

*საშუალო ტემპით*




## ჩემი ბაღი

*მუსიკა განზარ ჰუსეინლისა*
*სიტყვები გერა ფაზლისა*




## თანამგზავრი

*მუსიკა ფიქრათ ამიროვისა*
*სიტყვები თემურ ელჩინისა*



## გამარჯვება ჩვენია

*მუსიკა შაფიგ ახუნდოვისა*
*სიტყვები აბდულა შაიგისა*




## ცეცხლთა ქვეყანა

*მუსიკა ფიქრათ ამიროვისა*
*სიტყვები თემურ ელჩინისა*




## იავნანა

(აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა)



## ჩემი დედა

*მუსიკა ოქტაი რაჯაბოვისა*
*სიტყვები გაშამ ისაბეილისა*




## ნოვრუზი მოვიდა

*მუსიკა ოქტაი რაჯაბოვისა*
*სიტყვები სევინჯ ნურუგიზისა*



## სული ხარობს ბაქოს ცქერით

*მუსიკა შაფიგ ახუნდოვისა*

*სიტყვები ისკენდერ ჯიშგუნისა*




## უშიშარი სარდალი

*მუსიკა სულეიმან ალესკეროვისა*

*სიტყვები ჯავად ჯავადლისა*



## სიმღერა სამშობლოზე

*მუსიკა ნიაზისა*
*სიტყვები სულეიმან რუსტამისა*




## ია

*მუსიკა სოლთან ჰაჯიბეკოვისა*
*სიტყვები მირმეჰდი სეიდზადესი*



## სიმღერა მეგობრობაზე

*მუსიკა თოფიკ ყულიევისა*
*სიტყვები ანვარ ალიბეილისა*




## დიადი მიწა

*მუსიკა ელდარ მანსუროვისა*
*სიტყვები ნახიდ განჯიზადესი*



## მაისი

მუსიკა რაშიდ შაფაგისა
სიტყვები რუფატ აჰმეზადესი



**MUSİQİ 5**
*Ümumtəhsil məktəblərinin 5-ci sinfi üçün*
*Musiqi fənni üzrə*
**DƏRSLİK**
***(Gürcü dilində)***

**Tərtibçi heyət:**

| | |
|---|---|
| Müəlliflər | ***Oqtay Məmmədağa oğlu Rəcəbov*** |
| | ***Nazim Kazım oğlu Kazımov*** |
| | ***Yeganə Əsgər qızı Axundova*** |
| | ***Ofeliya Safa qızı İmanova*** |
| Tərcümə | **İNTELEQTİ** |
| Redaktor | ***Sevinc Nuruqızı*** |
| Bədii və texniki redaktor | ***Abdulla Ələkbərov*** |
| Dizayner | ***Aqil Əmrahov*** |
| Rəssam | ***Gündüz Ağayev*** |

*Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyinin*
*24.05.2016-cı il tarixli 354 №-li əmri ilə təsdiq edilmişdir.*

**© Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyi — 2017**

Müəlliflik hüquqları qorunur. Xüsusi icazə olmadan bu nəşri və yaxud onun hər hansı hissəsini yenidən çap etdirmək, surətini çıxarmaq, elektron informasiya vasitələri ilə yaymaq qanuna ziddir.

Hesab-nəşriyyat həcmi 4,7. Fiziki çap vərəqi. 5,0. Formatı 70x100 $^1/_{16}$.
Səhifə sayı 80. Ofset çapı. Ofset kağızı.
Tiraj 200. Pulsuz. Bakı–2017

**«Təhsil Nəşriyyat-Poliqrafiya» MMC**
Bakı, AZ 1052, F.Xoyski küç., 149


PULSUZ